www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 8 ნოემბერი, 2013 წელი. | №3403 (210) | ფასი 50 თეთრი

არჩილ კბილაშვილი თანამდებობას ტოვებს

მთავარი პროკურორ არჩილ კბილაშვილი თანამდებობას ტოვებს და სამოქალაქო სექტორში გადადის.

არჩილ კბილაშვილი თანამდებობიდან ოფიციალურად პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ გადადგება. მის შემცვლელს მთავარი პროკურორის პოსტზე პრემიერ-მინისტრი დანიშნავს.

საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ძალაში შედის „პროკურატურის შესახებ“ კანონში ჩადებული მუხლი, რომლის თანახმად, მთავარ პროკურორს, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. დღეს ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა. რაც შეეხება საქართველოს მომავალ მთავარ პროკურორს, ამის შესახებ მმართველ გუნდში კომენტარი ჯერჯერობით არ კეთდება.

არჩილ კბილაშვილმა მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ მას ირაკლი ღარიბაშვილისგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა პრიორიტეტების, გამოწვევების და სამართალდაცვით სფეროში გასატარებელი რეფორმების შესახებ.

„მინდა, გავაკეთო განცხადება საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. რატომ მივდივარ, მინდა, წინდაწინ ვთქვა, რომ არავითარი უთანხმოება ჩემსა და მომავალ პრემიერ-მინიტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის არ არსებობს. ჩვენ ერთმანეთის გვერდით მოგვიწია მუშაობა 1 წლის განმავლობაში. ღირსეული და კოლეგიური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„2013 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში ვერ შესრულდება“

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდი ადასტურებს, რომ 2013 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში ვერ შესრულდება. ხელისუფლების წარმომადგენლები დანაკლისის კონკრეტულ რაოდენობაზე ჯერჯერობით არ საუბრობენ და აცხადებენ, რომ ეს წლის ბოლოს გახდება ცნობილი.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედეგები საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა ზურაბ ჯაფარიძემ გუშინ პრესკონფერენციაზე შეაჯამა. მისი თქმით, წლიური 2.5-პროცენტიანი ზრდით საქართველო ევროპულ სტანდარტებს ორ საუკუნეში დაეწევა.

პარლამენტარის განმარტებით, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა პრაქტიკულად შეჩერებულია და საქართველოს ხელისუფლება ბევრ ფაქტორზე უნდა დაფიქრდეს - მათ შორის შემოსავლების კლების საშიშ ტენდენციაზე, რამაც შესაძლოა, ერთ მილიარდ ლარს მიაღწიოს.

„ეკონომიკური ზრდა მესამე კვარტალში 1,3-პროცენტია, წლიური ზრდა, მაქსიმუმ, 2,5 პროცენტი შეიძლება იყოს, რაც იმას მიუთითებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა პრაქტიკულად გაჩერებულია. წლის დანაკლისი ნახევარი მილიარდიდან 1 მილიარდამდე იქნება. მთავრობას აუცილებლად მოუწევს ხარჯების შეცვლა. ჩვენი გათვლებით, შეკვეცა, ძირითადად, ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხება,“ - აღნიშნა ჯაფარიძემ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ირანი - „ექვსეულის“ მოლაპარაკება განახლდა

ივა შილაკაძე

ხუთშაბათს ჟენევაში ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ ამ ქვეყანასა და საერთაშორისო შუამავლების «ექვსეულს“ შორის მოლაპარაკებები განახლდა. ამ ექვსეულში შედიან: აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. კოორდინატორის რანგში მოლაპარაკებებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონი მონაწილეობს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

თბილისის საკრებულო სამარშრუტო ტაქსებს დაუბრუნდა

თბილისის მერიის მიერ 2011 წელს ჩატარებული მიკროავტობუსების ტენდერის საკითხი თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომისიის სხდომაზე განიხილეს.

კომისიის სხდომის პარალელურად, საკრებულოსთან ტრანსპორტის სფეროში დასაქმებულთა აქცია გაიმართა. მანიფესტანტებმა ტენდერის გაუქმება და მათთვის სამართლიანი პირობების დაწესება მოითხოვეს.

კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავას განცხადებით, ტენდერი რეალურად კორუფციულ გარიგებას წარმოადგენდა, რომლისგანაც გიგი უგულავა და მისი გარემოცვა პირად სარგებელს იღებდნენ. ამდენად, კუკავას თქმით, უსამართლოდ და უკანონოდ ჩატარებული ტენდერი უნდა გაუქმდეს. მისივე ინფორმაციით, საბოლოო დასკვნა, მერიასთან კონსულტაციების შემდეგ, სხდომაზე იქნება წარმოდგენილი.

„კომისიამ განიხილა ის ტენდერი, რომელიც 2011 წელს ჩატარდა. მაშინაც იყო და ახლაც არის უამრავი შეკითხვა, განსაკუთრებით იმ ფაქტის შესახებ, რომ ადრე ბაზარზე 30-35 კომპანია მოქმედებდა და ახლა ერთი კომპანიის ფინანსური ჯგუფის ხელში მოექცა. მაშინ იყო დაპირება, რომ ტარიფი არ გაიზრდებოდა, თუმცა მათ ეს თანხა 50 თეთრიდან 80-მდე გაზარდეს. მოსახლეობა პრეტენზიებს გამოთქვამს, რომ მიკროავტობუსების რაოდენობა შემცირდა, რის გამოც ტრანსპორტი გადატვირთულია,“ - განაცხადა კუკავამ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

კალათბურთის ფედერაცია სპორტის სამინისტროს ჩარევას აპროტესტებს

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 6 ნოემბრის განცხადებაში მინიშნებაც კი არ არის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ფედერაციის საქმიანობაში ჩარევაზე. ლაპარაკია მხოლოდ მინისტრ ყიფიანის მიერ ფედერაციის საქმეებში ჩარევაზე, რომელიც გამოიხატება ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის აშკარა მხარდაჭერაში.

სამინისტროს უკლებლივ ყველა თანამშრომელთან (გარდა მინისტრისა) ფედერაციას ჰქონდა და აქვს საუკეთესო, საქმიანი ურთიერთობა. ვსარგებლობთ შემთხვევით და ამ ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით ზემოთ აღნიშნულ პირებს.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ეს არ არის მინისტრის პირველი ჩარევის მცდელობა ფედერაციის საქმიანობაში, ვაქვეყნებთ 2013 წლის 30 ივლისით დათარიღებულ მის წერილს.

შეგახსენებთ, რომ საკალათბურთო სამყაროში აშკარად ინსპირირებული ე. წ. დაპირისპირება შეიქმნა ფედერაციის 2013 წლის 10 აგვისტოს არშემდგარი რიგგარეშე ყრილობის შემდეგ. თუ მინისტრის აზრით, მისი ბოლო, 23 ოქტომბრის წერილი საკალათბურთო სამყაროში ე.წ. დაძაბულობის განმუხტვას ემსახურება, მაშინ ისმის კითხვა:

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ჰიჩკოკი, კუბრიკი და კინომუსიკის ხელოვნება



ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ

ლინკოლნ ცენტრის ევერი ფიშერ ჰოლში ნიუ იორკის ფილარმონიამ მსმენელს რამდენიმე უჩვეულო კონცერტი შესთავაზა: დიდ ეკრანზე - ჰიჩკოკის ფილმები და კუბრიკის 2001: კოსმოსური ოდისეა“, ხოლო სცენაზე - ორკესტრი ფილმის ეპიზოდებს შესაბამისი კინომუსიკის ფონს პარალელურად ურთავდა. სანახაობრივად და აღქმის თვალსაზრისით ეს მართლაც მშვენიერი იდეა გახლდათ და ამ იდეის ასევე ოსტატურად განხორციელების ნიმუშიც. თუმცა ამ ორი ხელოვანის კინოფილმების კონცერტებს ერთმანეთს თუ შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ ჰიჩკოკის პერფორმანსი, ბუნებრივია, გაცილებით საინტერესო და ცოცხალი იყო, ვიდრე კუბრიკის კოსმოსური სიცარიელე:

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

არჩილ კბილაშვილი თანამდებობას ტოვებს

პირველი გვერდიდან

არაერთი დღე და ღამე გაგვიტარებია ერთად დანაშაულთან საბრძოლველად. ირაკლი ღირსებითა და წესიერებით სავსე ადამიანია. რასაკვირველია, ჩვენ გვაქვს განსხვავებული შეხედულებები პრიორიტეტებთან, გამოწვევებთან და სამართალდაცვით სფეროში გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებით. მაგრამ აღნიშნული ერთ გუნდში მყოფი საერთო მიზნის მქონე თანამებრძოლების განსხვავებული შეხედულებებია, რაც ყოველთვის არსებობდა და მომავალშიც იარსებებს ბიძინა ივანიშვილის რეფორმატორთა გუნდში,“ - აღნიშნა კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორი ფიქრობს, რომ თანამდებობაზე ნაადრევად მოვიდა და არ უარყოფს, რომ პროკურატურის გარდაქმნისთვის საჭირო პერიოდის შესახებ მისი და პრემიერ ივანიშვილის მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვევა.

როგორც კბილაშვილი ამბობს, მას ბიძინა ივანიშვილთან არაერთხელ უსაუბრია მთავარი პროკურორის პოსტის დატოვებისა და სამოქალაქო სექტორში მასთან ერთად გადასვლის შესახებ.

„წინა ხელისუფლებას მართლმსაჯულების კარი რომ არ ამოეგმანა, არც პოლიტიკის და არც თანამდებობისკენ გამხედავი არ ვიყავი. თანამდებობაზე ყოფნა პრესტიჟია, მაგრამ იგი ჩემთვის ღირებულებას არ წარმოადგენს. არც იმას უარვყოფ, რომ პროკურატურის გარდაქმნის დროსთან დაკავშირებით ჩემი და პრემიერ ივანიშვილის მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ეს ეხება დროს და არა პრინციპს. პრემიერი, ისევე როგორც მე, ფიქრობს, რომ საქართველოში ევროპული პროკურატურა უნდა შევქმნათ, ოღონდ მე შედარებით სწრაფი მოქმედებების მომხრე ვარ. დრო აჩვენებს, რამდენად ვცდებოდი. იმის გამო, რომ პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია, მთავარ პროკურორს ევალება, პრემიერის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას მისდიოს. სწორედ ამიტომ, ბიძინა ივანიშვილთან ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ შევთანხმდით, რომ პრემიერთან ერთად მეც დავტოვო თანამდებობა, როგორც მისმა თანაგუნდელმა და თანამოაზრემ და საქმიანობა სამოქალაქო სექტორში გავაგრძელო,“ - აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

ამ გადაწყვეტილების შესახებ ჯერჯერობით არც მოქმედ და არც მომავალ პრემიერ-მინისტრებს განცხადება არ გაუკეთებიათ, სამაგიეროდ, მთავარი პროკურორის ეს ნაბიჯი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრებმა შეაფასეს.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის განცხადებით, კბილაშვილმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ იუსტიციის მინისტრს წინა დღეს აცნობა. მისივე თქმით, არჩილ კბილაშვილი თეა წულუკიანს სამინისტროში 6 ოქტომბერს შეხვდა.

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არჩილ კბილაშვილი მინისტრს გადადგომის მიზეზებზეც ესაუბრა, თუმცა შეხვედრის დეტალები ჩემთვის უცნობია,“ - აღნიშნა მარიამ სხილაძემ.

სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი უაღრესად დადებითად აფასებს არჩილ კბილაშვილის მოღვაწეობას, როგორც ადვოკატად, ასევე მთავარი პროკურორის პოსტზე.

„დარწმუნებული ვარ, კბილაშვილი სადაც იქნება, თავის სათქმელს ყველგან იტყვის - სამოქალაქო სექტორში იქნება ბიძინა ივანიშვილთან ერთად თუ სხვაგან. ის ჩვენი გუნდის წევრად დარჩება,“ - განაცხადა სოზარ სუბარმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, არჩილ კბილაშვილი, სადაც არ უნდა მოღვაწეობდეს, თავისი საქმის პროფესიონალი, ერთგული, წესიერი და ქვეყნისთვის გულანთებული ადამიანი იქნება.

მისივე თქმით, არჩილ კბილაშვილმა საქართველოს პროკურატურას ერთი წლის განმავლობაში, ძალიან რთულ პერიოდში უხელმძღვანელა და ეს ძალიან რთული სამუშაო იყო.

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ზოგადად ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა დროებითია და ადამიანები სტატუსის შეცვლისთვის ყოველთვის მზად უნდა იყვნენ.

„არჩილ კბილაშვილს სტუდენტობიდან ვიცნობ, ის იყო თავისუფალი ადამიანი, ის თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელია, ადვოკატურას მიჰყვებოდა და ძალიან წარმატებულადაც. საკმაოდ რთულია ახალ ამპლუაში გადასვლა, მეც გამიჭირდა არასამთავრობო სექტორიდან პოლიტიკაში შემოსვლა და ერთი სული მაქვს, როდის დავუბრუნდები ჩემთვის ყველაზე კომფორტულ ადგილს - მაგალითად, უნივერსიტეტს. ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ და თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, ვინც სახელმწიფო თანამდებობაზე ვართ, შესაძლოა, დადგეს მომენტი, როდესაც გადავწყვეტთ პოზიციის შეცვლას, სტატუსის შეცვლას,“ - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე დავით ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ არჩილ კბილაშვილის მუშაობა იდეალური არ იყო და ბევრი ნაკლი ჰქონდა. ზურაბიშვილის თქმით, კბილაშვილმა სამართლებრივი გზა აირჩია, თუმცა ისე ვერ შეძლო რაღაცების კეთება, როგორც საჭირო იყო.

„მას ძალიან რთულ პერიოდში მოუწია მთავარი პროკურორობა. მთავარი პროკურორის მიმართ მოლოდინი ბევრად მეტი იყო, ვიდრე შეიძლებოდა, განხორციელებულიყო თუნდაც იდეალურ სიტუაციაში. ისეთი სიტუაცია გამოვიდა, რომ, ერთი მხრივ, უკმაყოფილოა რადიკალურად განწყობილი ნაწილი, მეორე მხრივ, „ნაციონალური მოძრაობა“ მაინც ლაპარაკობს პოლიტიკურ რეპრესიებზე. მიმაჩნია, რომ კბილაშვილმა, ასე თუ ისე, ამ ერთ წელიწადში საკმაოდ ღირსეულად გაართვა თავი ურთულეს სამუშაოს. იდეალური არ იყო მისი მუშაობა, ბევრი ნაკლი ჰქონდა. ბაჩო ახალაიას საქმეზე იმდენჯერ დადგა გამამართლებელი განაჩენი, რომ ამან საზოგადოებაში რეაქცია გამოიწვია, რომ პროკურატურას საკმარისი მტკიცებულებები არ აქვს მიტანილი. ყველაზე მეტი პრეტენზიები კბილაშვილის უწყების მიმართ იყო და ეს პრეტენზიები ნაწილობრივ ახალ ხელმძღვანელობაზე განაწილდება. დაველოდოთ, ვინ დაინიშნება,“ - განაცხადა ზურაბიშვილმა.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის აზრით, მთავარი პროკურორის პოსტიდან არჩილ კბილაშვილის გადადგომა „საქმისთვის უკეთესი იქნება“.

„ვფიქრობ, რომ ეს არის არჩილ კბილაშვილის მიერ მიღებული ღირსეული გადაწყვეტილება. ჩვენს ხელისუფლებას და განსაკუთრებით პროკურატურას რთული პერიოდი ჰქონდა - მას ე.წ. კოჰაბიტაციის პერიოდად მონათლულ ვითარებაში უწევდა ძალიან რთულ საკითხებზე მუშაობა. კოჰაბიტაციური პერიოდი თავისებულ პოლიტიკურ მიდგომას მოითხოვდა, მათ შორის პროკურატურაში და ვფიქრობ, რომ ამ გამოწვევას არჩილ კბილაშვილმა, ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის ქვეშ, წარმატებით გაართვა თავი. ახლა ჩვენ სხვა რეჟიმში ვართ და ამიტომ მიმაჩნია, რომ მისი ახალი სისხლით ჩანაცვლება პროკურატურისთვის ახალი ეტაპი იქნება. საერთო ჯამში, ეს ახალი ეტაპი ამ სისტემის ობიექტურად და სტაბილურად მოქმედების გარანტი უნდა იყოს ,“ - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

უშიშროების საბჭოს მომავალი მდივნის ირინა იმერლიშვილის განცხადებით, კბილაშვილს და მის უწყებას არ მოსვლია რაიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შეცდომა, რომლის გამოც პასუხი უნდა ეგო.

„შეცდომები მოსდის ყველას, ვინც მუშაობს. ვინც არაფერს აკეთებს, შეცდომა მხოლოდ მას არ მოსდის. ვერ ვიტყოდი, რომ პროკურატურას რამე დანაშაულებრივი შეცდომა ჰქონდა. ასეთი ნამდვილად არ ყოფილა. ყოველდღიური ყოფითი თუ ტექნიკური შეცდომები შეიძლება, ყველას მოუვიდეს, ვინც მუშაობს და საქმეს აკეთებს. მე არ გამოვყოფდი რამე განსაკუთრებულად მნიშვნელოვან შეცდომას, რომლის გამოც მას პასუხი უნდა ეგო. არჩილი ნამდვილად კარგი იურისტია, რომელსაც კანონი არასდროს დაურღვევია და სამართლებრივი გადაცდომა არ მოსვლია. ზოგი კმაყოფილი იყო იმ ტემპით, რომლითაც პროკურატურა მუშაობდა, ზოგი კი ნაკლებად,“ - აღნიშნა იმერლიშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ მთავარი პროკურორის პოსტზე საქმიანობას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ხელისუფლება და საზოგადოება სამართლიანობის - ხალხისთვის წართმეული ქონების დაბრუნებაზე, შელახული უფლებების აღდგენაზე შეთანხმდებიან.

„ის, რა განსხვავებაც არსებობდა მთავარი პროკურორის და ბიძინა ივანიშვილის პოზიციებს შორის, არჩილ კბილაშვილმა თავად ბრძანა - განსხვავება ის იყო, რომ აჩიკო რეფორმების უფრო სწრაფი ტემპით ჩატარების მომხრე იყო, ხოლო ბიძინა ივანიშვილი რეფორმების შედარებით მოგვიანებით განხორციელებას უჭერდა მხარს. თუმცა, აქ მთავარია ის, რომ ერთიც და მეორეც თანამოაზრეები არიან რეფორმების გატარების აუცილებლობაში. განსხვავება მხოლოდ დროში მდგომარეობდა,“ - განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ამასთან, ქუცნაშვილი არ ადასტურებს ინფორმაციას მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მისი შესაძლო დანიშვის შესახებ და ამბობს, რომ ასეთი შეთავაზება არ მიუღია.

„არანაირი თანამდებობისკენ არ მივისწრაფვი, გარდა იმ მოვალეობისა, რა მოვალეობითაც დღეს ვარ შებოჭილი,“ - აღნიშნა ქუცნაშვილმა.

არჩილ კბილაშვილის გადადგომისა და მისი სავარაუდო შეცვლელის შესახებ საკუთარი მოსაზრება გაავრცელა „ქართული ოცნების“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა უჩა კანდელაკმა, რომელიც კახეთის გუბერნატორის პოსტზე ზურაბ ჭიაბერაშვილის შემცვლელად განიხილება. კანდელაკი მიიჩნევს, რომ ლაშა ნაცვლიშვილი მთავარი პროკურორის პოსტზე შესაფერისი კანდიდატურაა.

„ლაშა ნაცვლიშვილი არის ადამიანი, რომელიც ყველა დაუსრულებელი საქმის ბოლომდე მიყვანას შეძლებს. ვფიქრობ, ლაშა ნაცვლიშვილი ერთ-ერთი ღირსეული კანდიდატია ამ თანამდებობისთვის. ჩემი აზრით, მხოლოდ მისი პროფესიონალიზმი, პრინციპულობა უკვე საკმარისია, რომ აღნიშნული პოსტი დაიკავოს. არ არის აუცილებელი, ლაშა ნაცვლიშვილი ყველას ესიმპათიურებოდეს, მთავარია ის გაკეთებული საქმეები, რომლებიც უკვე სახეზეა,“ - აღნიშნავს კანდელაკი,.

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობას, «ნაციონალური მოძრაობაში“ გახმაურებული საქმეების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებსა და არადამაჯერებელ, აბსურდამდე მისულ ვერსიებზე საუბრობენ.

„შეგახსენებთ მთავარი პროკურორის განცხადებებს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ. ის პერმანენტურად ახერხებდა, საზოგადოება ეკვება გარკვეული „ინტრიგის შემცველი“ განცხადებებით, „ფაქტების მოყვანით“, საბოლოო ჯამში კი ვიღებდით არაფერს,“ - აღნიშნა «ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გოგა ხაჩიძემ.

მისივე თქმით, მთავარი პროკურორი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეში ახალი ფაქტების არსებობის შესახებ აცხადებდა. ხაჩიძის შეფასებით, ყალბი მოლოდინები არავისთვის არის სიკეთის მომტანი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გახმაურებული პროცესებიც გაიხსენა. ხაჩიძის თქმით, ის თავად ესწრებოდა ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესებს, სადაც ბრალდების მხარე უსუსური სანახავი იყო.

„ალბათ პროკურატურა იყო ისეთი, როგორიც პიროვნულად არის ბატონი არჩილ კბილაშვილი. რაღაცნაირი - არც აქეთ, არც იქით, რაღაც გაურკვეველი რიტორიკით. გაურკვეველი რიტორიკის პროკურატურა გვყავდა ერთი წელი,“ - აღნიშნა ხაჩიძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრისა და მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის დავით საყვარელიძის განცხადებით, კბილაშვილის გადადგომა „ქართული ოცნების“ მხრიდან გახმაურებული საქმეების გამოძიებაზე აღებული პასუხისმგებლობის ბუღალტრულად ჩამოწერას ჰგავს.

„კბილაშვილის განცხადებას ანდერძს უფრო დავარქმევდი. თვითონ შინაარსი იყო ძალიან დამაბნეველი და ბუნდოვანი. ერთი ნაწილი დაეთმო ირაკლი ღარიბაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ქებას, მეორე ნაწილი დაეთმო იმას, რომ რეალურად ჰქონია ივანიშვილთან აზრთა სხვადასხვაობა და შეუთავსებლობა. ღიმილის მომგვრელია ის დამოკიდებულება, რომ კბილაშვილი იყო ის მთავარი პროკურორი, რომელიც ნებისმიერი სატელევიზიო ეთერის საშუალებით აანონსებდა ნებისმიერ გახმაურებულ საქმეს, გამოძიებული იქნებოდა ის თუ გამოუძიებელი. მე და ალბათ ბევრ მოქალაქეს ებადება ძალიან საფუძვლიანი შეკითხვა - რას ჰგავს საერთოდ მისი ეს საქციელი. კონკრეტულად, მისგან ისმოდა მაპროვოცირებელი წინასაარჩევნო დამაბნეველი მესიჯები, როგორიც იყო ზურაბ ჟვანიას საქმეში ახალი დეტალები. მისგან ასევე ისმოდა ჰიჩკოკის საშინელებათა ფილმის მსგავსი გამონათქვები, მაგალითად ის, რომ სისხლიან აბაზანებში აბანავებდნენ პატიმრებს და შემდეგ ორგანოებს ყიდიდნენ. ამაზეც არ გაუცია გამოძიებას ოფიციალური პასუხი. ძალიან ბევრი გახმაურებული, მის მიერ დაანონსებული საქმე რჩება პასუხგაუცემელი. ეს, ერთგვარად, პოლიტიკური პასუხისმგებლობის ბუღალტრულ ჩამოწერას ჰგავს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მთავარი პროკურორის პირით გააკეთა,“ - განაცხადა საყვარელიძემ.

მისივე თქმით, კორუფციის ბრალდებით სამსახურებიდან გათავისუფლებულ პროკურორებს დღეს მაღალ თანამდებობებზე ნიშნავენ.

„პროკურატურის გარდაქმნას ინსტიტუციური მუშაობა სჭირდება და არა ნათესავებისა და ძმაკაცების მოყვანა, რაც არჩილ კბილაშვილმა გააკეთა. გარდაქმნისთვის საჭიროა სტაჟიორ-პროკურორების, ახალგაზრდა სისხლის მოყვანა, რაც თავის დროზე ჩვენ შევძელით და პროკურატურის 80 პროცენტი ასეთი ადამიანებით განვაახლეთ. აბრუნებენ კორუფციით თუ სხვადასხვა გადაცდომის ბრალდებით სამსახურიდან გაშვებულ პროკურორებს და დღეს ისინი ამ უწყებაში მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან. მას თუ ასე ესმის პროკურატურის გარდაქმნა და ამაში თუ ივანიშვილი არ ეთანხმებოდა, პრემიერ-მინისტრი მართალი ყოფილა,“ - განაცხადა საყვარელიძემ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

თბილისის საკრებულო სამარშრუტო ტაქსებს დაუბრუნდა

პირველი გვერდიდან

ამასთან, კუკავა ამ საქმის პროკურატურაში გადაგზავნას არ გამორიცხავს.

„სავარაუდოდ, ეს საქმე პროკურატურას გადაეცემა, რადგან ტენდერში, რომელიც იანვრის შუა რიცხვებში ჩატარდა, იანვრის დასაწყისში დარეგისტრირებულმა კომპანიებმა გაიმარჯვეს. მათ ერთ კვირაში მრავალმილიონიანი საბანკო გარანტია წარმოადგინეს. ეს ყველაფერი ცოტა რთული დასაჯერებელია. საბოლოდ, ეს პროკურატურამ უნდა შეამოწმოს. ჩვენი ამოცანაა, დაზარალებული მეწარმეებისა და მძღოლების დაკმაყოფილება, რამდენადაც ეს შესაძლებელია,“ - განაცხადა კახა კუკავამ.

განსხვავებული პოზიცია აქვთ საკრებულოს ფრაქცია «ნაციონალური მოძრაობა განახლებული თბილისის“ წარმომადგენლებს. ფრაქციის თავმჯდომარის თქმით, ეს საკითხი პოლიტიზებული არ უნდა გახდეს.

„2011 წელს ტენდერი კანონის სრული დაცვით ჩატარდა. გაიმარჯვა ოთხმა კომპანიამ და ისინი ტენდერის დროს აღებულ ვალდებულებებს სრულად ასრულებენ. ახალი მანქანები შემოვიდა და თბილისელებს უკეთესი პირობები შეექმნათ. ვფიქრობ, რომ თემა პოლიტიზებული უნდა იყოს. ეს თემა უფრო სამეურვეო საქმიანობის კუთხით უნდა გადაწყდეს. ეს არის თემა, რომელიც ჩვენ მოქალაქეებს ეხებათ და, ბუნებრივია, პირობების გაუმჯობესებაზე უნდა ვიფიქროთ,“ - განაცხადა თამაზ შოშიაშვილმა.

თბილისის სატრანსპორტო სამსახურში კი ამბობენ, რომ ხელახალი ტენდერის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

„ახალი ტენდერი არ ჩატარდება, ამის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ახალი ტენდერის ჩატარება თბილისის საკრებულოს წევრთა მოსაზრება და სურვილია. კომპანიების ვალდებულებების მიხედვით მოვალეობები სრულად შესრულებულია და დღეის მდგომარეობით ხელშეკრულების შეწყვეტა არ განიხილება,“ - აღნიშნა სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენელმა ვასილ აბულაძემ.

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ანგარიში მოამზადა

სტრასბურგში ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის წევრებმა გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის ანგარიშის შესახებ მოხსენება მოისმინეს, რომელიც საქართველოში არსებული კონფლიქტს ეხება. ანგარიში 2013 წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით არსებულ ვითარებას ასახავს.

კომიტეტის წევრებმა ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარს მოუწოდეს, რომ კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ამ რეგიონში მონიტორინგი უფრო გააქტიუროს.

საქართველოს ელჩი ევროსაბჭოში კოტე კორკელია, რომელიც სხდომას ესწრებოდა, ამბობს, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტის შესახებ ანგარიში წელიწადში ორჯერ ქვეყნდება. **„ჩვენ ფოკუსირებულები ვიყავით იმაზე, რომ ამ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების მიმართ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ყურადღება მიგვეპყრო. ამასთან, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს ამ მიმართულებით გააქტიურებისა და მონიტორინგის განხორციელებისკენ მოუწოდებენ. 6 თვეში ასევე წარმოდგენილი იქნება არსებული ვითარების შესახებ მონაცემები და იქნება მცდელობა, რომ შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგას,“** - ამბობს კორკელია.

საკუთარი ინფორმაცია

თბილისის საკრებულო სამარშრუტო ტაქსებს დაუბრუნდა

თბილისის მერიის მიერ 2011 წელს ჩატარებული მიკროავტობუსების ტენდერის საკითხი თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომისიის სხდომაზე განიხილეს.

კომისიის სხდომის პარალელურად, საკრებულოსთან ტრანსპორტის სფეროში დასაქმებულთა აქცია გაიმართა. მანიფესტანტებმა ტენდერის გაუქმება და მათთვის სამართლიანი პირობების დაწესება მოითხოვეს.

კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავას განცხადებით, ტენდერი რეალურად კორუფციულ გარიგებას წარმოადგენდა, რომლისგანაც გიგი უგულავა და მისი გარემოცვა პირად სარგებელს იღებდნენ. ამდენად, კუკავას თქმით, უსამართლოდ და უკანონოდ ჩატარებული ტენდერი უნდა გაუქმდეს. მისივე ინფორმაციით, საბოლოო დასკვნა, მერიასთან კონსულტაციების შემდეგ, სხდომაზე იქნება წარმოდგენილი.

„კომისიამ განიხილა ის ტენდერი, რომელიც 2011 წელს ჩატარდა. მაშინაც იყო და ახლაც არის უამრავი შეკითხვა, განსაკუთრებით იმ ფაქტის შესახებ, რომ ადრე ბაზარზე 30-35 კომპანია მოქმედებდა და ახლა ერთი კომპანიის ფინანსური ჯგუფის ხელში მოექცა. მაშინ იყო დაპირება, რომ ტარიფი არ გაიზრდებოდა, თუმცა მათ ეს თანხა 50 თეთრიდან 80-მდე გაზარდეს. მოსახლეობა პრეტენზიებს გამოთქვამს, რომ მიკროავტობუსების რაოდენობა შემცირდა, რის გამოც ტრანსპორტი გადატვირთულია,“ - განაცხადა კუკავამ.

ამასთან, კუკავა ამ საქმის პროკურატურაში გადაგზავნას არ გამორიცხავს.

„სავარაუდოდ, ეს საქმე პროკურატურას გადაეცემა, რადგან ტენდერში, რომელიც იანვრის შუა რიცხვებში ჩატარდა, იანვრის დასაწყისში დარეგისტრირებულმა კომპანიებმა გაიმარჯვეს. მათ ერთ კვირაში მრავალმილიონიანი საბანკო გარანტია წარმოადგინეს. ეს ყველაფერი ცოტა რთული დასაჯერებელია. საბოლოდ, ეს პროკურატურამ უნდა შეამოწმოს. ჩვენი ამოცანაა, დაზარალებული მეწარმეებისა და მძღოლების დაკმაყოფილება, რამდენადაც ეს შესაძლებელია,“ - განაცხადა კახა კუკავამ.

განსხვავებული პოზიცია აქვთ საკრებულოს ფრაქცია «ნაციონალური მოძრაობა განახლებული თბილისის“ წარმომადგენლებს. ფრაქციის თავმჯდომარის თქმით, ეს საკითხი პოლიტიზებული არ უნდა გახდეს.

„2011 წელს ტენდერი კანონის სრული დაცვით ჩატარდა. გაიმარჯვა ოთხმა კომპანიამ და ისინი ტენდერის დროს აღებულ ვალდებულებებს სრულად ასრულებენ. ახალი მანქანები შემოვიდა და თბილისელებს უკეთესი პირობები შეექმნათ. ვფიქრობ, რომ თემა პოლიტიზებული უნდა იყოს. ეს თემა უფრო სამეურვეო საქმიანობის კუთხით უნდა გადაწყდეს. ეს არის თემა, რომელიც ჩვენ მოქალაქეებს ეხებათ და, ბუნებრივია, პირობების გაუმჯობესებაზე უნდა ვიფიქროთ,“ - განაცხადა თამაზ შოშიაშვილმა.

თბილისის სატრანსპორტო სამსახურში კი ამბობენ, რომ ხელახალი ტენდერის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

„ახალი ტენდერი არ ჩატარდება, ამის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ახალი ტენდერის ჩატარება თბილისის საკრებულოს წევრთა მოსაზრება და სურვილია. კომპანიების ვალდებულებების მიხედვით მოვალეობები სრულად შესრულებულია და დღეის მდგომარეობით ხელშეკრულების შეწყვეტა არ განიხილება,“ - აღნიშნა სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენელმა ვასილ აბულაძემ.

ირაკლი ლექვინაძე - საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად შესაძლოა, ვალის აღება მოუხდეს

საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად შესაძლოა, საგარეო ან საშინაო ვალის აღება მოუხდეს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თემის კომენტირებისას ეკონომიკის ექსპერტმა ირაკლი ლექვინაძემ განუცხადა.

მისი თქმით, საგადასახადო შემოსავლების შემცირება ეკონომიკის ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა.

„საგადასახადო შემოსავლები გათვლილი იყო 6-პროცენტიან ზრდაზე, რეალურად ჩვენ გვაქვს 1,7-პროცენტიანი ზრდა, რაც წლის ბოლომდე შეიძლება, მაქსიმუმ, 2 პროცენტამდე გაიზარდოს. ეს ჩამორჩენა განაპირობა იმან, რომ ქვეყანაში უფრო ნაკლები ეკონომიკური აქტივობა იყო, ნაკლები ბიზნესგარიგება დაიდო და შესაბამისად, ნაკლები თანხა შევიდა ბიუჯეტში. ამიტომაც მივიღეთ გეგმისგან ჩამორჩენა. რა თქმა უნდა, ეს კატასტროფა არ არის და ჩვენი რესურსი გაწვდება იმას, რომ კლების შედეგად წარმოქმნილი დეფიციტი დაბალანსდეს და ვალდებულებებს საფრთხე არ შეექმნას. თუმცა, არსებობს დეფიციტის აღმოფხვრის რამდენიმე გზა - შიდა და გარე ვალის აღება, რამე ობიექტის გაყიდვა ან პრივატიზაცია და სხვა არასაგადასახადო შემოსულობების ზრდა,“ - განაცხადა ლექვინაძემ.

ექსპერტის თქმით, ამ ეტაპზე ყველაზე რეალურია საგარეო ან საშინაო ვალის აღება, რის შედეგადაც ფულზე მოთხოვნა და შესაბამისად, საკრედიტო განაკვეთი იზრდება.

„არა მგონია, მთავრობა სეკვესტრის ნაბიჯზე წავიდეს. დანაკლისი ობიექტურია პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, რომელიც 2013 წლის მანძილზე გვქონდა. ეს ჩავარდნა და ეკონომიკური ზრდის ტემპის კლება კოჰაბიტაციის რეჟიმმა გამოიწვია,“ - აღნიშნა ლექვინაძემ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, „ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი შემოსავლების ნაწილში წელს ვერ შესრულდება იქიდან გამომდინარე, რომ ზრდა მეტი იყო დაგეგმილი. მაგრამ ყველა სოციალური ვალდებულება, რომელიც დაგეგმილი იყო, ბიუჯეტის მიერ შესრულებული იქნება.“

„2013 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში ვერ შესრულდება„

მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტი 6-პროცენტიან ზრდაზეა გათვლილი, რაც არარეალურია.

„მომავალი წლის ვალდებულებების შესრულებას 400 მილიონი შიდა ვალი დასჭირდება. ეს თანხები, ძირითადად, საყოველთაო ჯანდაცვისა და გაზრდილი პენსიისთვის იქნება საჭირო. სოციალური ვალდებულებების დაფინანსება სესხით ძალიან ცუდია. ჩვენ მთავრობას პრობლემების შესახებ ვაფრთხილებდით, თუმცა ეს ნაციონალური მოძრაობის ახირება ეგონათ,“ - განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა.

წამებაში ბრალდებულ დავით ჩაგინავას ავსტრიიდან საქართველოში ექსტრადიცია განხორციელდა

შს სამინისტროს ინფორმაციით, 1978 წელს დაბადებული დავით ჩაგინავა თბილისის, ანკარისა და ვენის ინტერპოლების თანამშრომლობის შედეგად 30 სექტემბერს ავსტრიის რესპუბლიკაში დააკავეს.

იგი დაპატიმრებისა და ექსტრადიციის მიზნით ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში 2013 წლის 10 სექტემბრიდან იმყოფებოდა. მას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 1441 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და წამებას.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მეგის ქარდავამ შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისადმი დაქვემდებარებული, შს სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა პირებისგან შექმნა სტრუქტურული ფორმის მქონე, მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა დანაშაულების ჩადენა.

დავით ჩაგინავა ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო. მეგის ქარდავას უშუალო დავალებით ჯგუფის წევრებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, ტყის მასივებში, კონკრეტულ პირთა წამების, დაშინების და სხვა უკანონო ქმედებების ჩასადენად მოწყობილი ჰქონდათ ე.წ. „მიწურები“ და ხის სადგომები.

2011 წლის განმავლობაში, აღნიშნული ადგილების გამოყენებით, დავით ჩაგინავა სხვადასხვა დროს, თანამზრახველებთან ერთად, მეგის ქარდავას დავალებით, უშუალოდ მონაწილეობდა ორი პიროვნების გატაცებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ცემაში, წამებაში, არაადამიანურ მოპყრობასა და გაუპატიურებაში. ზემოხსენებულ ქმედებებს ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ, რათა უდანაშაულო პირებისგან მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით, დავით ჩაგინავას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

ამჟამად დავით ჩაგინავა გადაყვანილი და მოთავსებულია რუსთავის მე-9 საპყრობილეში.

ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 2011 წლის დეკემბრის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე დაეცა

ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1,6793 ნიშნულზე დაეცა. ეროვნული ბანკის მონაცემებით, გუშინ ეს მაჩვენებელი 1,6737-ით განისაზღვრებოდა.

ეროვნული ვალუტა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სტაბილურად უფასურდება. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2011 წლის დეკემბრის შემდეგ, როდესაც ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1.6793 ნიშნულზე დაფიქსირდა.

ეროვნული ვალუტის მაღალ კურსზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიუთითებდა. „რეგიონის ეკონომიკურ პროგნოზში“, რომელიც რამდენიმე დღის წინ საერთშორისო ფინანსური ინსტიტუტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ ლარის გამყარება საკვებსა და ენერგეტიკაზე ფასების შემცირებამ გამოიწვია, რაც თავის მხრივ, მთავრობის რეგულაციებმა განაპირობა.

როგორც სსფ აღნიშნავს, საქართველოში ინფლაციის დონე მიზნობრივ მაჩვენებელს, 6%-ს, მკვეთრად ჩამორჩება და წლის ბოლოსთვის -0,3%-ს მიაღწევს.

აღნიშნულ ინფორმაციას ეკონომიკური პორტალი „BPN“ ავრცელებს.

არაფატი, შესაძლოა, პოლონიუმით მოწამლეს

პალესტინის ყოფილი ლიდერი იასირ არაფატი, შესაძლოა, პოლინიუმის რადიაქტიური იზიტოპით მოწამლეს. ამის შესახებ ტელეარხი „ალ ჯაზირა“ შვეიცარიელი სამედიცინო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე იუწყება. არაფატის ავადმყოფობის ისტორიაში წერია, რომ იგი ინსულტით გარდაიცვალა. თუმცა, შემდეგ მის შესაძლო მოწამვლაზე დაიწყეს საუბარი. გასულ წელს მისი ცხედრის ექსჰუმაცია ჩატარდა. შვეიცარიელი ექსპერტების დასკვნაში ნათქვამია, რომ აღმოაჩინეს პოლონიუმის რადიაქტიური იზიტოპების უჩვეულოდ მაღალი დოზა, რაც მისი მოწამვლის თეორიას არ გამორიცხავს. აღნიშნულის შესახებ არაფატის ქვრივმა სუჰამ პარიზში უკვე გააკეთა კომენტარი: „ამ შედეგებმა ნამდვილი დანაშაული გამოააშკარავა და ჩვენი ყველა ეჭვი დაადასტურა.“

ნატოს წვრთნები რუსეთს კვლავ აშფოთებს

რამდენიმე დღის წინ ნატომ ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთში მსხვილი სამხედრო წვრთნები დაიწყო. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა არაერთხელ მიუთითა, რომ ეს წვრთნები რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული, თუმცა როგორც „როიტერი“ აღნიშნავს, ამ განცხადებებმა რუსეთი მაინც ვერ დაამშვიდა. რუსი მაღალჩინოსნები მიიჩნევენ, რომ რუსეთის საზღვრებთან გამართული წვრთნები მათ შეშფოთებას ადასტურებს, რაც ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოს გაფართოებას და მოსკოვთან ახლოს მისი მოკავშირეების „კუნთების თამაშს“ გულისხმობს. ნატოს «Steadfast Jazz»-ის წვრთნებამდე რუსეთმა, ბელარუსთან ერთად, უფრო მსხვილი წვრთნები ჩაატარა, რომელმაც მართლაც შეაშფოთა ბალტიის ქვეყნები. თუმცა, ნატო აცხადებს რომ «Steadfast Jazz»-ის სწავლებას არც რუსეთის ამ უკანასკნელ მანევრებთან აქვს კავშირი. აღნიშნულის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ნათლად განაცხადა: „რა თქმა უნდა, ეს წვრთნები გზავნილია ყველა იმ ქვეყნის მიმართ, ვინც ნატოზე თავდასხმას გეგმავს. თუმცა, მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთს ნატოს რომელიმე წევრზე თავდასხმის განზრახვა აქვს, ამის გამო რუსეთი შეშფოთებული არ უნდა იყოს,“ - აღნიშნა რასმუსენმა ლატვიაში გამართულ კონფერენციაზე.

საბერძნეთის პოლიცია ტელეარხ ERT-ს შენობაში შეიჭრა

საბერძნეთის პოლიცია ტელერადიო კომპანია ERT-ს შენობაში შეიჭრა, რომლის დახურვაც ხელისუფლებამ რამდენიმე თვის წინ გადაწყვიტა და იქიდან ყოფილი თანამშრომლების გამოძევება დაიწყო. მთავრობის ამ გადაწყვეტილების შემდეგ სამსახურის გარეშე 2600 ადამიანი დარჩა. თუმცა, კომპანიის თანამშრომლები გათავისუფლების შემდეგაც აგრძელებდნენ მუშაობას. ტელეარხის შენობასთან დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებაც მოხდა. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

ისრაელი პალესტინას სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლაში ადანაშაულებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩიხში შეყვანაში პალესტინის მხარე დაადანაშაულა. ნეთანიაჰუს თქმით, პალესტინელები ხელოვნურად ქმნიან კრიზისს და არეულობას უწყობენ ხელს. სამშვიდობო მოლაპარაკებები ამ ზაფხულს განახლდა ვაშინგტონის შუამავლობით. ამ საკითხების გასარკვევად ამერიკის სახლმწიფო მდივანი ჯონ კერი ახლო აღმოსავლეთში იმყოფებოდა, სადაც პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტ მაჰმუდ აბასის გარდა, ისრაელის პრემიერსაც შეხვდა. ამ დრომდე პალესტინასა და ისრაელს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებს შესამჩნევი შედეგი არ გამოუღია. იერუსალიმში გამართულ პრესკონფერენციაზე ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი ყველა პირობას ასრულებს, თუმცა, მისი თქმით, პალესტინელები ძალადობის ხელშეწყობას კვლავ აგრძელებენ.

ტაჯიკეთის საპრეზიდენტო არჩევნები ემომალი რახმონმა მოიგო

ტაჯიკეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედმა პრეზიდენტმა ემომალი რახმონმა ხმების 83,6 პროცენტი აიღო. რახმონის გამარჯვების შესახებ ცოტა ხნის წინ მმართველმა პარტიამაც განაცხადა: „ჩვენი მონაცემებით, რახმონმა ამომრჩეველთა ხმების 85 პროცენტი მიიღო, დანარჩენმა კანდიდატებმაკი - 5 და ნაკლები პროცენტი,“ - განაცხადა «ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის» პრესმდივანმა უსმონ სოლიევმა. ხმის მიცემის საბოლოო შედეგები არჩევნებიდან ათი დღის განმავლობაში უნდა გამოაქვეყნონ. ტაჯიკეთის პრეზიდენტობაზე პრეტენზიას 6 ადამიანი აცხადებდა: კომუნისტი ისმოილ ტალბაკოვი, დემოკრატი საიჯაფარ ისმონოვი, სოციალისტი აბდუჰალიმ გაფაროვი, «აგრარაული პარტიის» წარმომადგენელი ტოლიბეკ ბუხოროვი, «ეკონომიკური რეფორმების პარტიის» ლიდერი ოლიმჯობ ბობოევი და მოქმედი პრეზიდენტი ემომალი რახმონი.

ფილიპინებს ძლიერი ტაიფუნი „ჰაიანი“ უახლოვდება

ძლიერი ტაიფუნის მოახლოების გამო ფილიპინებზე ათასობით ადამიანმა საკუთარი საცხოვრებელი სახლი დატოვა. „სი-ენ-ენ“-ის ინფორმაციით, ქარის სიჩქარე 280 კმ/სთ-შია. ტაიფუნ „ჰაიას“ სიმძლავრე ქარიშხლების მეხუთე კატეგორიას მიეკუთვნება. ფილიპინების რამდენიმე ქალაქში სკოლები და სხვადასხვა დაწესებულებები დახურეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

„ტიმოშენკოს საკითხი„ გუშინ ვერ გადაწყდა

ივა შილაკაძე

ხუთშაბათს საერთოდ ვერ მოხერხდა უკრაინის უმაღლესი რადას პლენარული სხდომის ჩატარება, რომელსაც ციხეში მყოფი ექს-პრემიერის იულია ტიმოშენკოს სამკურნალოდ უცხოეთში გაშვების საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ეს, თავის მხრივ, მთავარი პირობაა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც ნოემბრის ბოლოს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების, ასევე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებს ხელი არ მოეწერება.

ეს თემა ჩვენი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი. ევროკავშირის წარმომადგენლები ბოლო პერიოდში უკვე აცხადებენ, რომ თუ ვილნიუსის სამიტზე ხელმოწერა არ მოხერხდება, ის შეიძლება, დიდი ხნით გადაიდოს და კიდევ საკითხავია, დარჩება თუ არა უკრაინას ევროპასთან ინტეგრაციის შანსი.

პარლამენტის პლენარული სხდომა ხუთშაბათს, დილას, ფორმალურად გაიხსნა და უმაღლესი რადას თავმჯდომარემ ვლადიმირ რიბაკმა მაშინვე 30-წუთიანი შესვენება გამოაცხადა. სხდომა აღარ განახლებულა. დილიდანვე ოპოზიციის ლიდერი, გაერთიანებული პარტია «ბატკივშჩინას» თავმჯდომარე არსენი იაცენიუკი აცხადებდა, რომ დილის 10 საათისთვის დანიშნული სხდომა ვერ გაიმართებოდა, რადგან მმართველი «რეგიონების პარტია» საკითხის გადასაწყვეტად მზად არ იყო. წინა საღამოს პროფილურმა კომიტეტმა ტიმოშენკოს თემაზე შეთავაზებული ოთხივე კანონპროექტი დაბლოკა და „გადასამუშავებლად“ უკან დააბრუნა.

უკრაინაში კვლავ იმყოფებიან ევროპარლამენტის მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები - ევროპარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე პეტ კოკსი და პოლონეთის ექს-პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი, რომლებიც „ტიმოშენკოს საქმეს“ და, საერთოდ,უკრაინის ევროინტეგრაციას კურირებენ. გუშინ მათი იანუკოვიჩთან შეხვედრა 12:00 საათზე შედგა, შემდეგ ისინი პარლამენტში მივიდნენ და თავმჯდომარე ვლადიმირ რიბაკს შეხვდნენ, მოგვიანებით გაფართოებული შეხვედრაც გაიმართა ფრაქციების (მათ შორის ოპოზიციური) ხელმძღვანელების მონაწილეობით. იგეგმებოდა კოკსის და კვასნევსკის მონაწილეობაც პარლამენტს მუშაობაში, თუმცა სხდომა არ გამართულა. დღეს კოკსი და კვასნევსკი ხარკოვის საავადმყოფოში ტიმოშენკოს მოინახულებენ.

დილის სხდომა, როგორც აღვნიშნეთ, აღარც განახლებულა, ის მოგვიანებით ფორმალურად „დახურეს“. საღამოს სხდომის ჩასატარებლად დეპუტატები დარბაზში ისხდნენ, მაგრამ დღე ისე დამთავრდა, რომ სხდომა არ დაწყებულა. რიგგარეშე სხდომა დღევანდელი დილისთვის დაინიშნა.

არსენი იაცენიუკმა განაცხადა, რომ „რეგიონების პარტია“ საკითხის განსახილველად მზად არ არის და ვერც ამბობენ, თუ როდის იქნებიან მზად. ფრქციების ხელმძღვანელების შეხვედრაზე, რომელშიც კოკსი და კვასნევსკიც მონაწილეობდნენ, მმართველმა პარტიამ ოპოზიციას ვერც კანონპროექტებზე და ვერც განრიგზე პასუხი ვერ გასცა. არადა, დრო იწურება. იაცენიუკის სიტყვებით, ოპოზიცია ყველაფერზე წავიდა: მმართველ პარტიას შესთავაზა რიგგარეშე სასესიო კვირის მოწყობა მომავალი ორშაბათიდან; „ტიმოშენკოს საკითხთან“ ერთად, პაკეტში კიდევ ორი კანონპროექტის (პროკურატურის შესახებ და საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ) სასწრაფოდ განხილვა, რომლის მიღებაშიც ხელისუფლებაა დაინტერესებული. ოპოზიცია მზად არისმ მხარი დაუჭიროს ტიმოშენკოს სამკურნალოდ გაშვების ნებისმიერ ვარიანტს, თუნდ ამინისტიის გარეშე, რათა მთავარი საკითხი გადაწყდეს - უკრაინის ევროინტეგრაცია.

იაცენიუკმა საღამოს ხმამაღალი პოლიტიკური განცხადებაც გააკეთა, რომლის თანახმადაც, „რეგიონების პარტიას“ ტიმოშენკოს გაშვება არ უნდა, რადგან მისი ეშინია და არც ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებიხ ხელმოწერა სურთ. მათთვის უკრაინელების მომავალს მნიშვნელობა არ აქვს. იაცენიუკი ალბათ დიდწილად მართალია. იანუკოვიჩს და მის «საბჭოთა კავშირში ჩარჩენილ» მომხრეებს უკრაინის ევროპული მომავლის სასარგებლოდ ასეთი კარდინალური გადაწყვეტილების მიღება უჭირთ.

გუშინვე კიევის ცენტრში, სამივე ოპოზიციური საპარლამენტო პარტიის ხელმძღვანელობით, მრავალათასიანი აქცია მოეწყო. იყო მსვლელობაც და შემდეგ მიტინგიც უმაღლეს რადასთან. ხალხი ტიმოშენკოს გათავისუფლებას და უკრაინის ევროპისკენ სვლას მოითხოვდა.

ირანი - „ექვსეულის“ მოლაპარაკება განახლდა

პირველი გვერდიდან

შეხვედრებს ესწრებიან აგრეთვე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლები. ირანის დელეგაციის ოფიციალური ხელმძღვანელია საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამედ ჯავად ზარიფი, მოლაპარაკებებს უშუალოდ უძღვება მისი მოადგილე აბას არაქჩი. «ექვსეულიც“ უმთავრესად საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებით არის წარმოდგენილი. მოლაპარაკებების ეს რაუნდიც ორდღიანია და ის დღეს, საღამოს დამთავრდება.

მოლაპარაკებების დაწყებამდე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა საბოლოო შედეგის მიმართ ფრთხილი ოპტიმიზმი გამოხატა, თუმცა აღნიშნა, რომ დიალოგი რთული იქნება. ზარიფის აზრით, ყველაზე ძნელია «უნდობლობის კედლის“ გადალახვა, რომელიც, მისივე სიტყვებით, დასავლეთმა აღმართა.

მოლაპარაკებების დეტალები არ ხმაურდება, თუმცა არსი ყველასთვის კარგად არის ცნობილი, მათ შორის ჩვენი მკითხველისთვის. ამ თემას «24 საათი“ ყოველთვის ყურადღებით ადევნებს თვალს. დასავლეთი ეჭვობს, რომ ირანი მშვიდობიანი ბირთვული პროგრამის საფარქვეშ ატომური ბომბის შექმნას ცდილობს. ირანი სამხედრო პროგრამის არსებობას უარყოფს, თუმცა ეჭვის მთავარი საფუძველი ის არის, რომ ინსპექტორებს თავის სამხედრო ობიექტებსა და ურანის გამამდიდრებელ ქარხნებში არ უშვებს. ამის გამო გაეროს ირანის ნინააღმდეგ მკაცრი სანქციები აქვს შემოღებული, რაც შემდეგ ცალმხრივად კიდევ დაამძიმეს დასავლეთის სახელმწიფოებმა და მათმა მოკავშირეებმა მსოფლიოში. სანქციები ეხება როგორც ქვეყანას, საბანკო და სანავთობო სექტორების ჩათვლით, ასევე კონკრეტულ პირებსაც, რომლებიც ბირთვულ პროგრამაში არიან ჩართულნი. ირანის მიზანია ამ სანქციების მოხსნა, რადგან ისინი უკვე მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე.

მოლაპარაკებების წინა რაუნდი ოქტომბერში გაიმართა. კეტრინ ეშტონის აღიარებით, დიალოგი 2006 წლის შემდეგ არასდროს ყოფილა იმდენად კონკრეტული და საქმიანი, როგორც ახლა. მხოლოდ 2006 წლამდე აღაირებდა ირანი ატომური სააგენტოს მკაცრი კონტროლის აუცილებლობას. ამ მოლაპარაკებების მიმართ ირანის დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა პრეზიდენტად ჰასან როუჰანის არჩევის შემდეგ, რომელიც მოვალეობების შესრულებას აგვისტოში შეუდგა. როუჰანის ირანშიც და უცხოეთშიც ზომიერ პოლიტიკოსად იცნობენ.

წინა მოლაპარაკებებზე დასავლეთი ირანისგან მოითხოვდა ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრების შეწყვეტას, რადგან ამის ზევით ურანი უკვე სამხედრო დანიშნულებისაა. ამას გარდა, დასავლეთი მოითხოვს ფორდოში ქარხნის დახურვას და ირანის თანხმობას ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შეუზღუდავ ინსპექციებზე, მათ შორის - მოულოდნელ შემოწმებებზე. წინა წლებში იყო აგრეთვე ვარიანტი, რომ ნაწილობრივი გამდიდრებული ურანი ირანიდან გაეტანათ და გადაეცვალათ მზა, 20 პროცენტამდე გამდიდრებულ ურანში, რომლის გამოყენებაც მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისთვის იქნებოდა შესაძლებელი.

ოფიციალური განცხადებებით, ირანი ურანის ქვეყნიდან გატანას კატეგორიული ეწინააღმდეგება. წინა რაუნდისას კი მიანიშნა, რომ სამაგიეროდ დათანხმდება ობიექტების შეუზღუდავ და მოულოდნელ ინსპექციებსაც.

ამჟამინდელი რაუნდის წინ «ექვსეულის“ წარმომადგენლებს ირანის მიმართ ერთი ზოგადი მოთხოვნა აქვთ - სურთ, რომ ირანმა თავის ბირთვული პროგრამის განვითარება შეწყვიტოს და საჯაროდ არ აზუსტებენ, ამაში რა იგულისხმება. ცხადია, მოლაპარაკებებზე კონკრეტული დეტალები განიხილება. ის, რომ მიმდინარე რაუნდების შინაარსი არ ხმაურდება და თუნდ საჯაროდ არავინ გამოთქვამს პრეტენზიას მეორე მხარის «შეურიგებლობაზე“, გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ამ თემის პარალელურად, მედია, ნატოს სტრუქტურებში თავის ანონიმ წყაროებზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ ირანს ატომური ბომბით შეიარაღება შეიძლება, საუდის არაბეთმა «დაასწროს», რადგან ერ-რიადი ვერ დაუშვებს, რომ რეგიონში ასეთი მრისხანე იარაღი მხოლოდ მის გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ჰქონდეს. სუნიტური საუდის არაბეთი და შიიტური ირანი დიდი ხანია, ერთმანეთს ეცილებიან ისლამური სამყაროს ფლაგმანის როლს.

როგორც ირკვევა, საუდის არაბეთს სერიოზული თანხა აქვს ჩადებული პაკისტანის ბირთვულ პროგრამაში იმ პირობით, რომ ამ ქვეყნისგან ატომურ ბომბებს ნებისმიერ მომენტში მიიღებენ. დაუზუსტებელი მონაცემებით, ეს ბომბები საუდის არაბეთისთვის მისაწოდებლად უკვე გამზადებულია. ამ სფეროში ერ-რიადის და ისლამაბადის ურთიერთობა 1990-იანი წლებიდან იწყება. ამ თემას «BBC Newsnight“-ის წამყვანმა მარკ ურბანმა გადაცემა მიუძღვნა. მისი მტკიცებით, ჯერ კიდევ 2009 წელს გააფრთხილა საუდის არაბეთის მეფემ აბდალამ აშშ-ს საგანგებო დავალებთა ელჩი დენის როსი, რომ თუ თეირანი «ზღვარს გადავა“, ერ-რიადიც მიიღებს ბირთვულ იარაღს. იმავე როსმა 2012 წელსაც განაცხადა, რომ საუდის არაბეთი საკუთარ ატომურ ბომბზე მუშაობის დასაწყებად მზად არის. მარკ ურბანს ისრაელის სამხედრო დაზვერვის ყოფილი უფროსის იამოს იადლინის სიტყვებიც მოჰყავს, რომელიც მან ოქტომბერში შვედეთში გამართულ კონფერენციაზე თქვა. იადლინის სიტყვებით, თუ ირანი ბირთვულ ბომბს შექმნის, საუდის არაბეთი ერთ თვესაც არ მოიცდის, «მათ უკვე გადაიხადეს ბომბის ფული. ისინი, უბრალოდ, პაკისტანში წავლენ და იქიდან იმას წამოღებენ, რაც უნდა წამოიღონ“.

საუდის არაბეთი ამ ცნობებს უარყოფს და ჭორებს უწოდებს. ეს ქვეყანა შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ხელშეკრულებას, თანმიმდევრულად გამოდის «არაბირთვული ახლო აღმოსავლეთის“ მომხრედ და ისრაელის ატომურ განიარაღებას მოითხოვს. ისრაელიც ასევე ოფიციალურად არ აღიარებს, რომ ბირთვულ იარაღს ფლობს.

საუდის არაბეთს უკვე აქვს ბალისტიკური რაკეტების გასაშვები დანადგარები. ისინი ისრაელისა და ირანისკენ არის მიმართული. აქვს რაკეტებიც - «CSS-2“, რომლებიც ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს შეიძინა ჩინეთისგან. ამ რაკეტების მოქმედების სიშორე 4,5 ათასი კილომეტრია, რაც ნიშნავს, რომ ისინი, ირანის და ისრაელის გარდა, კიდევ ბევრ სახელმწიფოს მისწვდებიან და არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში.

ჰიჩკოკი, კუბრიკი და კინომუსიკის ხელოვნება

პირველი გვერდიდან

ცივილიზაციის გარიჟრაჟზე მაიმუნების სირბილ-კივილი და ერთ-ერთის მიერ ზევით აგდებული ძვალი, გადაქცეული შავ უსასრულობაში მოძრავ კოსმოსურ ხომალდად, რომელშიც იდეალური სისუფთავე, გრძელი პაუზები და მოწყენილობა სუფევს. შეიძლება ეს ჩემი დამოკიდებულების ბრალია, სამეცნიერო-ფანტატისკური ჟანრი არასოდეს მიყვარდა, მაგრამ მაინც. დამოკიდებულებას ხელს არ შეუშლია სასპენსური ჩართულობით მომესმინა როგორც ჰიჩკოკის კომპოზიტორებისთვის“- ჰერმანი, ტიომკინი, მიურეი, გუნო (დირიჟორი კონსტანტინე კისტოპოულოსისი. ეს ნიუ იორკის ფილარმონიაში მისი დებიუტი იყო), ასევე კუბრიკის კომპოზიტორებისთვის“ - ლიგეტი, რ. შტრაუსი, ი. შტრაუსი, ხაჩატურიანი (დირიჟორი ალან გილბერტი, ნიუ იორკის ფილარმონიის სამუსიკო დირექტორი). საკუთარ თავს კი დრო და დრო იმაზე ვიჭერდი, რომ, სამწუხაროდ, ჩემს და არა მარტო ჩემს მეხსიერებაში ფილმის სამუსიკო ავტორებს სათანადო ადგილს არ მივუჩენთ და თითქოს ვერც კი ვამჩნევთ მელოდიურ თუ კაკაფონიურ ფონს. არადა მუსიკალური აურა ისევე მნიშვნელოვანია კინოს მთლიანობისთვის და სიუჟეტის აღქმისთვის, როგორც სცენარი და მთავარი გმირები.



წარმოდგენა დაიწყო უსამართლოდ მივიწყებული კომპოზიტორის ლინ მიურეის მუსიკითა და ეკრანზე ჰიჩკოკის კატის გაქცევის“ (ფილმი ქურდის დაჭერა“) სცენით. კომპოზიტორმა თავისი კარიერა ბროდვეის თეატრებში გუნდის არანჟირებიდან დაიწყო და მერე რადიო - ტელე გადაცემების, ფილმების მუსიკალურ ავტორი გახდა და ასე აღმოჩინა ალფრედ ჰიჩკოკი; მოგვიანებით კი ჰიჩკოკის სატელევიზიო შოუების - ალფრედ ჰიჩკოკი წარადგენს“ და ალფრედ ჰიჩკოკის საათის“ კომპოზიტორიც გახდა. ეკრანზე ერთმანეთს ანაცვლებდა სცენები და მუსიკა ჩრდილოეთი ჩრდილოდასავლეთის გავლით“ (ჰერმანი), უცნობი მატარებელში“ (ტიომკინი), ქურდის დაჭერა“ (მიურეი), მკვლელობის შემთხვევაში აკრიფეთ მ“ (ტიომკინი). წარმოდგენას კი წინ ახლდა ჰოლივუდის ცნობილი მსახიობის ალეკ ბალდვინის (იგი ნიუ იორკის ფილარმონიის გამგეობის წევრი და სამსახიობო მრჩეველი, თანამოსახელე რადიოს წამყვანი და ასევე არაერთი სახელოვნებო გაერთიანების მეცენატი) შესავალი, რომელიც ჰიჩკოკთან მოთანამშრომლე მუსიკოსების შესახებ გვიყვებოდა. მათ შორის დმიტრი ტიომკინზე, რომელსაც ალფრედ ჰიჩკოკთან და ზოგადად ჰოლივუდთან განსაკუთრებულად ნაყოფერი თანამშრომლობა ჰქონდა. ბალდვინმა არაერთხელ აღნიშნა, რომ რეჟოსორი თავის ფილმებში მუსიკას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა; ისეთსავეს, როგორსაც პაუზას და ძალიან ხშირად კომპოზიტორების შეთავაზებებსა და კორექტივებს თანხმდებოდა. მაგალითად, მან ფსიქოს“ კომპოზიტორს ბერნარდ ჰერმანს სთხოვა, რომ საშხაპეში მკვლელობის ეპიზოდი მუსიკის გარეშე დაეტოვებინა, თუმცა მოგვიანებით, როცა ჰერმანმა ამ სცენისთვის ვიოლინოს მკივანა მელოდია“ შექმნა, ჰიჩკოკს იგი მოეწონა და აღიარა, რომ მისი საკუთარი იდეა უმუსიკობის“ თაობაზე უადგილო იყო. იმ 48 ფილმიდან, რომელიც ჰიჩკოკმა ხმოვან ეპოქაში შექმნა, შვიდის კომპოზიტორი ჰერმანი გახლდათ, ხოლო მერვე ფილმის მუსიკალური დიზაინიც“ მისი მეთვალყურეობის ქვეშ დაიწერა. ჰიჩკოკის გარდა ჰერმანი ნაყოფიერად მუშაობდა ორსონ უელსთან (მოქალაქე კეინი“), ასევე მისი გაფორმებულია“ ჯ. მანკიევიჩის მოჩვენება და მისის მიური“, ლი ტომპსონის შიშის კონცხი“, მ. სკორსეზეს ტაქსისტი“, ფ. ტრიუფოს ფარენგეიტი 451“ და ბ. დე პალმას დები“. ეს ადამიანი XX საუკუნის ყველაზე ცნობილი კინოკომპოზიტორია, რომლმაც ძალიან მცირე ასაკიდან ვიოლინოს სწავლა დაიწყო, 13 წლისამ კი სიმღერა დაწერა, რომლის ჯილდოდაც ასდოლარიანი ბანკნოტიც მიიღო. სხვათა შორის, 64 წლის ჰერმანი იმ ღამეს გარდაიცვალა, როცა ტაქსისტის“ მუსიკის ჩაწერა დაასრულა. მარტინ სკორსეზემ კი ფილმი სწორედ ბერნარდ ჰერმანის ხსოვნას მიუძღვნა.

მართალი გითხრათ, ჰიჩკოკის რეტორსპექტივის საშუალება დიდი ხანია არ მქონია, ჰოდა, კერი გრანტისა და გრეის კელის ორკესტრის თავზე აღმართულ დიდ ეკრანზე (პაუზებში ორკესტრანტებიც უყურებდნენ ფილმს, თუმცა, ცხადია, მათთვის ასე თავაწეულად მაყურებლობა არც ისე კომფორტული უნდა ყოფილიყო) ხილვა არა მარტო დაძაბულობის ოსტატის ხელწერის გახსენების, არამედ მუსიკალური სამზარეულოს“ ყურების და კომპოზიტორების შესახებ კონფერანსიე“ ბალდვინის საინტერესო ჩანართების მოსმენის შანსიც. რუსი პიანისტი დმიტრი ტიომკინი მანამ, სანამ ჰიჩკოკის ფილმებს გააფორმებდა და ოთხგზის ოსკაროსანი (ოსკარზე 22 - ჯერ იყო ნომინირებული. იგი ჰოლივუდის 140 ფილმის კომპოზიტორია) გახდებოდა, სანკტ - პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა, კომპოზიციას კი ა. გლაზუნოვი ასწავლიდა. მერე რუსეთიდან გერმანიაში გადასხლდა, სადაც ასევე მუსიკის კლასებს იღებდა. 1928 წელს პარიზში ჯ. გერშვინის საფორტეპიანო კონცერტის დებიუტზე დაუკრა, მერე კი ფ. შალაპინის რეკომენდაციით ამერიკაში წამოვიდა, სადაც ჰოლივუდის ერთ-ერთი წარმატებული კინოკომპოზიტორი გახდა; ამას გარდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელ, ამერიკული პროპაგანდისტული ფილმების შექმნაშიც მონაწილეობდა და ამის გამო იგი აშშ-ის სამხედრო უწყებამ დააჯილდოვა კიდეც. გარდა სახელოვნებო გემოვნებისა, ტიომიკინისა და ჰიჩკოკის დაახლოვების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ორივეს საჭმელი, სასმელი და დიდი წვეულებები ძალიან უყვარდათ. იმასაც ამბობენ, რომ ჰიჩკოკ - ტიომკინის პროექტები ყოველთვის მდიდრულ სუფრასა და ღვინის ფესტივალს ჰგავდაო.

IXX საუკუნის ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი, პარიზის კონსერვატორიის კურსდამთავრული ჩარლზ გუნო ჯერ მღვდლობაზე ოცნებობდა, მერე კი დირიჟორი და ისეთი ოპერების ავტორი გახდა, როგორიცაა ფაუსტი“, რომეო და ჯულიეტა“ და საფო“. ჰიჩკოკს, ბუნებრივია, ის ვერ მოესწრო, უბრალოდ, გუნოს მარიონეტების დასაფლავების მარში“ ჰიჩკოკმა თავისი სატელევიზიო შოუს ქუდად გამოიყენა და ამგვარად გუნოს მარიონეტების“ ჟღერადობა სამუდამოდ მიება ალფრედ ჰიჩკოკის სატალევიზიო იმიჯს.

ამერიკის მწერლთა გილდიამ“ ჰიჩკოკი, როგორც Alfred Hitchcock Presents -ის ავტორი, 101 ყველაზე საუკეთესო სერიალების ავტორის ნუხსაში შეიყვანა.

***

1964 წელს სტენლი კუბრიკმა გადაწყვიტა შეექმნა ფილმი, რომელიც ადამიანისა და უნივერსის ურთიერთობას ასახავდა. ამისთვის მან ფანტასტი მწერლის არტურ კლარკის ნაწარმოებებს მიმართა, შთაგონების წყარო კი გახლდათ ფილმი-ეპიკა როგორ გაიმარჯვა დასავლეთმა“ (ამ ემიგრაციული კინოსაგის შექმნაში რამდენიმე რეჟისორი მონაწილეობდა. 1962), რომელიც კუბრიკმა ინტერგალაქტიკურ რომანად“ გარდასახა. ბუნებრივია, 2001: კოსმოსური ოდისეის“ (1968) ირონიის გარეშე აღქმა შეუძლებელია, მითუმეტეს - დღეს. თუმცა მაშინაც კრიტიკა საკმაოდ დაუნდობელი იყო კურბიკის მიმართ და ამ ამერიკულ-ბრიტანულ კოსმოსურ კინოპროდუქციას მონუმენტურად უწარმოსახვო ფილმს“, ჰიპნოზსა და უსაზღვრო მოწყენილობას შორის მდებარეს“ უწოდებდა. კრიტიკოსებს მოწყენილობის თაობაზე სასებით ვეთანხმები და მიუხედავად ამ საკულტო ფილმის სახელისა (კუბრიკმა ერთადერთი ოსკარი სწორედ ამ ფილმისთვის აიღო), ჩემს თავს იმაზე ვიჭერდი, რომ ეკრანზე კოსმოსური ხომალდის ბინადართა ზანტ ცხოვრებაზე, მოწინავე ტექნოლოგიებზე, არადედამიწისეულ მოძრაობებსა და დამიანის ევოლუციაზე“ დაკვირვება მალე მღლიდა და შიგა და შიგ ჯოზეფ შტრასუსის ცისფერი დუნაისა“ და რიხარდ შტრაუსის ასე ამბობდა ზარატუსტრას“ ფონზე (ეს უკანასკნელი საბჭოელების მეხსიერებაში ტელეთამაშთან რა, სად, როდის?“ ასოცირდება), პარტერში ჩემს წინ მსხდომი მომღერლის სტინგის, მისი ცოლისა და ალეკ ბალდვინის კისრებს გავხედავდი ხოლმე; ბალდვინის მცირე პოლიტიკური ამბიციები მახსენდბოდა, თან ვგეგმავდი, ანტრაქტის დროს როგორ მომეხელთებინა დრო და მათთან ერთად ფოტო გადამეღო. ეს ლირიული გადახვევა. რაც შეეხება მუსიკას: კუბრიკმა თავისი ოდისეის“ ვიზუალურ-აუდალური ეფექტების გასაძლიერებლად თანამშრომლობა ცნობილ კინოკომპოზიტორ ალექს ნორთთან (ოსკაროსანი მეზღვაურის სიკვდილის“, ტრამვაი სახელად სურვილის“, კლეოპატრას“, ვივა ზაპატას!“ კომპოზიტორი) დაიწყო, მაგრამ მერე გადაიფიქრა, თუმცა - ფრიად არაკორექტულად. ნორთმა იმის შესახებ, რომ მისი მუსიკა დაიწუნეს“ მხოლოდ ფილმის პრემიერის დროს შეიტყო, რის გამოც, ბუნებრივია, შოკში ჩავარდა. თუმცაღა მოგვიანებით (2007) ორივეს, ნორთისა და კუბრიკის, ავტორობით გამოვიდა სიდი კოსმოსური ოდისეისთვის“ ჩაწერილი მუსიკით. ზოგი ამბობდა, რომ კუბრიკმა წააგო, როცა ნორთის მუსიკას ზურგი შეაქცია; ზოგიც ამბობდა, რომ კუბრიკის მიერ კლასიკური მუსიკისგან გაკეთებული კოლექცია უნივერსში სამოგზაუროდ ყველაზე ადეკვატური იყო. იმასაც ამბობდნენ ვის ძალუძს როსინის უილიამ ტელის უვერტიურის“ მოსმენა იმის გარეშე, რომ დისნეის სტუდიის კინოშვილი“, ვესტერნი ლოუნ რეინჯერი“ არ გაახსენდესო. ფაქტობრივად, ლუჩანო პავატორის არ იყოს, რომელიც კლასიკური მუსიკის თუ სინგლების“ (მაგალითად, სტინგთან და სხვებთან ვერდის რიგოლეტოს“ ლამაზმანების გულის“ ერთად შესრულება) ტრივიალიზაციას საკუთარი თავის პოპულარობისა და ოპერის მასებში“ გასატანად იყენებდა. აი, სტინგის კუბრიკის კინოკონცერტზე დასწრების მიზეზიც ვიპოვე და მასთან მთავარი სალაპარაკო თემაც იმის გარდა, რომ საქართველოდან ვარ, სადაც იგი არც თუ ისე დიდი ხნის წინ ბრძანდებოდა. ხუმრობა იქეთ იყოს და, ბუნებრივია, კუბრიკის შემთხვევაშიც კინორეჟისორმა მუსიკის გამოყენებით ნებსით თუ უნებლიედ კლასიკოსი კომპოზიტორების ცნობადობას შეუწყო ხელი.

რუმინელ-უნგრელ-ავსტრიელი კომპოზოტორი ჯორჯ ლიგეტი, რომლის ებრაულმა ოჯახმა ყველა ის უბედურება გადაიტანა, რაც ჰიტლერ-სტალინის ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ინოვაციური კომპოზიტორია, რომლის ელექტრონული მუსიკა ლამის ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა, როგორითაც - მისი ინსტრუმენტალური კლასიკა. მას მერე რაც 1956 წელს საბჭოთა ჯარმა უნგრელების აჯანყება სისხლში ჩაახშო, იგი ვენაში გაიქცა, სადაც დაასრულა ერთადერთი ოპერა Le Grand Macabre (დიადი გვამი“) - აბსურდის თეატრი, რომელსაც თავად ანტიოპერას“ უწოდებდა. თუმცაღა ჯორჯ ლიგეტს მსოფლიო ცნობადობა არა იმდენად პიესებმა სიმებიანმა კვარტეტისტვის მოუტანეს, არამედ კუბრიკის მიერ 2001: კოსმოსური ოდისეისთვის“ გამოყენებულმა საუდტრეკმა, რომელიც ლიგეტის ცნობილი ნაწარმოებებისგან: Atmospheres, Luc Aetena, Requiem და Aventures-გან და მათი ინტერპრეტაციებისგან შედგება. აღმოჩნდა, რომ ჯორჯ ლიგეტიმ არაფერი იცოდა კუბრიკის განზრახვაზე გამოეყენებინა კომპოზიტორის მუსიკა და მითუმეტეს დაემახინჯებინა“ იგი, რის გამოც საქმეში სასამართლო ჩაერთო. მაგრამ პრობლემა ლიგეტსა და კუბრიკს შორის იურიდიული გარჩევების გარეშე მოგვარდა და ნაწილობრივი კომპენსაციისათვის კუბრიკს ლიგეტის კომპოზიციები მოგვიანებითაც უნდა გამოეყენებინა. ფაქტობრივად, ასე გამოდის, რომ ალექს ნორთთან დაკავშირებული გაუგებრობა“ განმეორდა. სხვადასხვა წლებში დაწერილი ზემოხსენებული ოთხივე ნაწარმოები კი ლიგეტის პირადი მიკროპოლოფონიური და პოლირიტმული ფილოსოფიაა“, რომელიც ექსპერიმენტირებს როგორც ინსტრუმენტოთ, ასევე ვოკალით. მოგვიანებით ლიგეტის მუსიკა კოსმოსური ოდისეის“ სიქველშიც აჟღერდა. ამ კომპოზიტორის ნაწარმოებებს სხვა არაერთი რეჟოსორიც იყენებდა, მათ შორის, მარტინ სკორსეზე (დაწყევლილთა კუნძული“).

1863 წელს ფ. ნიცშეს ფილოსოფიური რომანით ზეადამიანი“ შთაგონებულმა რიხარდ შტრაუსმა შექმნა სიმფონიური პოემა ასე ამბობდა ზარატუსტრა“, რომლის პოპულარიზატორი, როგორც უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, სწორედ ლოლიტასა“ და მექანიკური ფორთოხლის“ რეჟისორი აღმოჩნდა და თანაც ფილმში, სადაც ძირითადად მუსიკა ლაპარაკობს, ხოლო ადამიანთა დიალოგები მინიმალურამდეა დაყვანილი. იოზეფ შტრაუსის სავალსო მუსიკა კი იმ ხომალდების საცეკვაო ლივლივზე, რომელთა შიგნით უწონობაა, სწორედაც რომ ზედგამოჭრილია. არამ ხაჩატურიანის ადაჟიო“ (ბალეტი გაიანე“) კი მაშინ ჟღერს, როცა უცნაური ფორმის, ნაცრისფერი, თავკომბალა ხომალდის სალონში თეთრ ბოტასებში, თეთრ წინდებში, თეთრ შორტებში და შავ მაისურში გამოწყობილი კოსმონავტი წრეზე (სახურავზე, ისევე როგორც იატაკზე) დარბის, ვარჯიშობს და ამ უსასრულო სიშავის ფონზე ადამიანის სხეულის კონტურები წითელი სხივებით ისახება.

დავით უსუფაშვილი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლინას ლინკევიჩუსმა მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტიდან აცნობეს, ლიტვაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა მორიგი შეხვედრა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ, ლინას ლინკევიჩუსთან გამართა. მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივ ურთიერთობებზე, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და ვილნიუსის სამიტზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო დელეგაციის წევრები საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, ლიტვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი ვალერი გელაშვილი და ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის წევრი გიორგი ვაშაძე.

საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლინას ლინკევიჩუსმა საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები დადებითად შეაფასა და განაცხადა, რომ ქვეყნისთვის ეს იყო მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი. დავით უსუფშვილმა და ლინას ლინკევიჩუსმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია უკვე დაიწყოს ევროინტეგრაციის თვალსაზრისით ვილნიუსის სამიტის შემდგომ პერიოდში განსახორციელებელი ნაბიჯების დაგეგმვა, რათა დაჩქარდეს დოკუმენტების ხელმოწერა და რატიფიკაცია. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხზე. ლინას ლინკევიჩუსმა გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიმართ, დაგმო ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის ჯარის უკანონო ქმედებები და აღნიშნა, რომ ლიტვა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებულ საზღვრებში.

პარლამენტის თავმჯდომარემ შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილებით ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეცვლილა და მის პრიორიტეტად კვლავ რჩება ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. „ჩვენ დავრჩებით მყარ პარტნიორებად დასავლური სამყაროსთვის“,-აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ადგილობრივი მედიის ლიტვის ნაციონალური რადიოსა და ტელევიზიის, ასევე წამყვანი ბეჭდური გამოცემის წარმომადგენლებს შეხვდა და ინტერვიუ მისცა.

დღესვე, დავით უსუფაშვილი საპარლამენტო დელეგაციის წევრებთან ერთად ლიტვაში ქართული კულტურის დღეების გახსნას დაესწრება და ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდება.

მთავრობას გუბერნატორის ფუნქციებში დროებითი ცვლილებები შეაქვს

დათო გამისონია

თვითმმართველობის რეფორმა სულ უფრო აქტიურ ფაზაში შედის. მთავრობა უახლოეს მომავალში პარლამენტში ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული თვითმმართველობის კოდექსის პროექტის ინიცირებას აპირებს. თვითმმართველობის ახალი კანონმდებლობის ამოქმედება კი 2014 წლის მუნიციპალური არჩევნების შემდეგ არის დაგეგმილი. თუმცა, ხელისუფლებას მოქმედი რეგულაციების მცირე კორექტირება მანამდეც მოუწევს.

17 ნოემბერს პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ძალაში შედის 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის თანახმად, გუბერნატორის დანიშვნის გადაწყვეტილებას არა პრეზიდენტი, არამედ მთავრობა მიიღებს და ხელს პრემიერ-მინისტრი მოაწერს. სწორედ ამიტომ, მთავრობა თვითმმართველობის კოდექსის მიღებამდე დებულების მიღებას აპირებს, რომელიც მუნიციპალურ არჩევნებამდე იქნება ძალაში.

დებულება გუბერნატორის ფუნქციების გაზრდას ითვალისწინებს. დროებით დოკუმენტში, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრ დავით ნარმანის თქმით, გუბერნატორის კონკრეტული ფუნქციები იქნება გაწერილი, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ რეგიონებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების კოორდინაცია უნდა შეეძლოთ. გარდა ამისა, ნარმანიას მიაჩნია, რომ გუბერნატორმა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების პროცესში ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა და, ცალკეული დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად, მოქმედება უნდა შეძლოს.

მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი მელაშვილი ამბობს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ გუბერნატორებს ზედამხედველის ფუნქციები აღარ ექნებათ.

რაც შეეხება გრძელვადიანი რეფორმის საკითხს, პროექტი გუბერნატორის ინსტიტუტის გაძლიერებას ითვალისწინებს - მას ადმინისტრაციული ფუნქციები დაემატება. ამასთან, ჩამოყალიბდება მხარის კოლეგიალური ორგანო, რომელშიც რეგიონში შემავალი ქალაქებისა და თემების საკრებულოების რამდენიმე წევრი გაერთიანდება. მთავრობა გუბერნატორებს სწორედ ამ ორგანოს წარდგენებით დანიშნავს. ახალ თანამდებობაზე დანიშნული პირი კი - არა გუბერნატორი, არამედ მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იქნება. თუმცა მხარის წარმომადგენლობით ორგანოს, ბიუჯეტის ნაცვლად, ხარჯთაღრიცხვა ექნება: თუ სად, რომელი და რა ღირებულების პროექტი უნდა განხორციელდეს.

საბჭოს ფუნქციებში შევა ცალკეული პროექტების დამტკიცება, ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, ცალკეული წინადადებები, რომლებიც რეგიონის განვითარებას შეეხება.

დაგეგმილი ცვლილების მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცემათ სათიბები და საძოვრები, რადგან ისინი ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა.

კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა გაიზრდება და, ნაცვლად დღეს არსებული ხუთი თვითმმართველი ქალაქისა, ეს სტატუსი იმ ქალაქებსაც მიენიჭებათ, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია. მათ პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული მერი ეყოლება.

თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან თემები ჩამოყალიბდება (მაგალითად, გორის ამჟამინდელი მუნიციპალიტეტის სოფლებისგან 4-5 თემი შეიქმნება), რომლის ბაზაზეც მუნიციპალიტეტების ფორმირება იგეგმება.

ამასთან, ფისკალური დეცენტრალიზაციის გრძელვადიანი ხედვის მომზადებაა გათვალისწინებული. დღეს ადგილობრივ თვითმმართველობებს შემოსავლის სახით მხოლოდ ქონების გადასახადი და რამდენიმე ადგილობრივი მოსაკრებელი აქვთ განსაზღვრული. რეფორმის შემდეგ ეს თანხა იმ ტერიტორიულ ერთეულში დარჩება, სადაც აიკრიფება. ამავე დროს, კოდექსის პროექტი თემის ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის დატოვებას ითვალისწინებს. თემს არჩეული საკრებულო და გამგებელი ეყოლება. ისინი ხელფასს თემის ბიუჯეტიდან მიიღებენ და ადგილობრივ პროგრამებს ამავე ბიუჯეტიდან დააფინანსებენ.

პროექტი სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნასაც ითვალისწინებს, ეს სოფლის მოსახლეობის რეალური საჭიროებების გამოვლენასა და გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

თვითმმართველობის რეფორმის პროცესში ჩართვას აპირებს საპარლამენტო უმცირესობა. როგორც ზურაბ ჯაფარიძე ამბობს, პროექტში ბევრი საკითხი ნაჩქარევად არის გაკეთებული. **„მათი გადახედვის მიზნით უმრავლესობასთან ერთად ვიმუშავებთ,“** - თქვა პარლამენტარმა.

ოპოზიციონერის შეფასებით, მთავარი ის არის, რომ ამ თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების გაზრდასთან ერთად, მათი ფინანსური გაძლიერებაა საჭირო. **„თუ შესაბამისი ფინანსური რესურსები არ იქნება, ცვლილებები ფურცელზე დარჩება. გადასახადების რაღაც ნაწილი პირდაპირ ადგილობრივ ბიუჯეტებში უნდა წავიდეს. ამის ნაჩქარევად გაკეთება მიუღებელია. შეიძლება, ისე მოხდეს, რომ ცვლილებების შედეგად შემოსავლები ცენტრალურ ბიუჯეტს დააკლდეს,“** - მიიჩნევს ჯურაბ ჯაფარიძე.

კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული-გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი ამბობს, რომ ამჟამად რწმუნებულის აპარატს მაკოორდინირებელი ფუნქცია აკისრია. მისი შეფასებით, დღევანდელ პირობებში ეს ფუნქცია ცარიელი აღმოჩნდა, რადგან არანაირი ინფრასტრუქტურული პროექტი არ ხორციელდება. ჭიაბერაშვილის აზრით, თუ მთავრობა რეგიონებს გარკვეულ ფუნქციებს კიდევ გადასცემს, ბუნებრივია, მათი ფინანსური მხარე იქნება მოსაწესრიგებელი. **„რეგიონებს ფინანსური მხარე თუ დაემატება, რეგიონის დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა აუცილებელი იქნება,“** - თქვა ჭიაბერაშვილმა.

სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში„ ცვლილებებს ეთანხმებიან

საქართველოს საპატრიარქოში ინტერრელიგიური ჯგუფის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. განხილვის თემა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებები იყო. აღნიშნული ცვლილებები საქართველოში მოქმედი სხვადასხვა კონფესიების და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს შს მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ გააცნო.

სამუშაო შეხვედრას მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებისა და სასულიერო პირების წარმომადგენლების გარდა, ასევე ესწრებოდნენ ლუთერანული ეკლესიის, სომხური სამოციქულო ეკლესიის და მუსლიმანთა სამმართველოს წარმომადგენლები.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ინტერრელიგიური სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, „კავშირ XXI საუკუნის“ ხელმძღვანელმა პაატა გაჩეჩილაძემ განაცხადა, 169-ე პრიმა მუხლმა გამოიწვია აჟიოტაჟი და აზრთა სხვადასხვაობა საზოგადოებაში. მისი პირველადი ფორმულირება შეიცვალა და კანონმდებლებმა „ა“ ქვეპუნქტი ამოიღეს, სადაც პირები, რელიგიური ორგანიზაციები, მორწმუნეები იყო ნახსენები და ამას ეხებოდა ყველაზე მეტი შენიშვნა.

„კანონპროექტის ახალი რედაქცია ჩამოყალიბდა. ძირითადი აქცენტი რელიგიურ შუღლზეა გაკეთებული, სიძულვილის ენაზე, რელიგიური აღმსარებლობის ხელშეშლაზე და თაყვანისცემის ობიექტების დაზიანებაზე,“ - აღნიშნა პაატა გაჩეჩილაძემ.

მისივე თქმით, ევროპული კანონმდებლობა ანალოგიურ ქმედებებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ქართული კანონმდებლობა კი მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით შემოიფარგლება და დაწესდება ჯარიმები. კერძოდ, პირველ შემთხვევაში - ჯარიმა 300-დან 500 ლარამდე ოდენობით, ხოლო კანონის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში 35-დღიანი პატიმრობაა გათვალისწინებული.

პაატა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებები ვენეციის კომისიის რეკომენდაციებსაც და ევროკავშირის კანონმდებლობასაც ეხმიანება და ესატყვისება.

ასევე, ამ ცვლილებების შესახებ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მუსლიმთა სამმართველოსა და სომხური ეკლესიის წარმომადგენლებმა. ისინი კანონპროექტში შესატან ცვლილებებს ეთანხმებიან და დემოკრატიულად მიიჩნევენ.

გორისა და ატენის მიტროპოლიტის ანდრეა გვაზავას განცხადებით, ანალოგიური კანონმდებლობა ევროპის უმეტეს ქვეყნებში მოქმედებს, კანონში არის რამდენიმე მუხლი და ერთ-ერთი კრძალავს სიძულვილის ენას, მოწოდებას ძალადობისაკენ, რაც ყოვლად მიუღებელია.

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხის ვაგიპ აქპეროვის განცხადებით, კანონმდებლობაში შესატანი ცვლილება დემოკრატიული და ჰუმანურია და მუსლიმები ამ ცვლილებებს მიესალმებიან.

„ამ კანონის არსებობის შემთხვევაში ნიგვზიანის და სამთაწყაროს ინციდენტები არ მოხდებოდა,“ - განაცხადა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხმა.

სომხური ეკლესიის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ საჭიროა კანონის იმპლიმენტაცია და ასევე მათ შს მინისტრის მოადგილეს შესთავაზეს, კანონში შევიდეს ცვლილება არა მხოლოდ რელიგიური ნიშნით ჩადენილი ქმედებების დასჯის შესახებ, არამედ ეთნიკური ნიშნით ჩადენილი ქმედებებისთვისაც.

ცნობისათვის - „ადმინისტრაციულ სამართალდარღვეთა კოდექსს“ სპეციალური მუხლი ემატება, რომელიც ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობისთვის ხელის შეშლას ეხება და ასეთ ქმედებაზე ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს.

აღნიშნული მუხლის სამუშაო ვარიანტი ასეთია - ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობისთვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატება: რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვაში ან სხვაგვარი დამამცირებელ ქმედებაში, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას; ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში; რელიგიური შუღლის და სიძულვილის საჯაროდ გამოხატვაში ან ამგვარი ქვედებისკენ საჯაროდ მოწოდებაში; რელიგიური შენობების და სხვა სიწმინდეების წაბილწვაში, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთებაში ან მათ დაზიანებაში. პროექტის თანახმად, ასეთი ქმედება გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე, ხოლო წლის განმავლობაში მისი განმეორების შემთხვევაში პირი 1000- დან 1500 ლარამდე დაჯარიმდება ან 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა დაეკისრება.

ადამიანის რწმენის და აღმსარებლობის ხელის შეშლასთან დაკავშირებული მუხლი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვეთა კოდექსის“ იმ პროექტს ემატება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს ივნისში წარუდგინა. კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში ასეთი ტიპის სამართალდარღვევაზე არაფერი ეწერა და მუხლი პროექტს მოგვიანებით ჩაემატა.

კანონპროექტი პარლამენტში მეორე მოსმენით განხილვის საგანს წარმოადგენს. საკითხის ინიციატორებისა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სურვილია, რომ აღნიშნული მუხლის კენსჭისყრაზე დაყენებამდე, დაზუსტდეს მისი შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო აქტებთან.

ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობის ხელის შეშლის ქმედების განმახორციელებელი პირების წინააღმდეგ გადაწყვეტილებას პარლამენტი სწორედ ამის შემდეგ მიიღებს.

ფაჩულია და უოლტონი

ზურა თალაკვაძე

ზაზა ფაჩულიამ და ბიჭებმა სამწამიანში კაირი შეუშვეს

ზაზა ფაჩულია რეალურად კარგ სტატისტიკას იღებს. რეალურად კარგ დროში და ზაზას პერსპექტივაც რეალურად კარგია. მილუოკიც“ სადღაც იგებს, სადღაც წააგებს, წამოვა ცუდი სერია და ზაზა ამ ფონზეც კარგი იქნება. ფაჩულიამ სოლიდურ დროში სოლიდური კალათბურთი ითამაშა და ეს სეზონი ზაზასთვის პატარა ზღაპარია. ეს სეზონი ზაზასთვის ბისია და საქართველოს ნაკრების ლიდერი სხვა დონეზე გადის. აღმოსავლეთის კონფერენციაში მილუოკი“ ჩვენი გუნდია. როგორც ადრე ორლანდო“ იყო. და ატლანტა“. და ჯოშ სმიტის ამბები. და ჰოქსის“ სხვა უინტერესო მომენტები ჩვენთვის საინტერესო ხდებოდა. ზაზას გამო. ფაჩულია სეზონის სტარტზე სანდო კალათბურთს თამაშობს და თუ დროში არ შეიზღუდება, მოუმატებს, მისგან უფრო ელეგანტური და დასამახსოვრებელი სტატისტიკა ნამოვა. ამას ხელს უწყობს ძირითადი ცენტრის, მისტერ ლარი სანდერსის ტრავმაც და ზაზამ ეს იცის. სანდერსი პირველია სტატუსით და ზაზა პირველია კალათბურთით. დეტალები გავიაროთ.

მილუოკიმ“ კარგი საჩუქარი მიიღო. ერთბაშად რამდენიმე კარგი საჩუქარი. დაასრულა კარიერა მაიკლ რედმა და ბუთხუზა, დადებითი რედი ბაქსის“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შუთერი იყო. რედი ზედიზედ ექვს რეგულარულში საშუალოდ 21 და მეტ ქულას აგროვებდა. სოლიდური სტატისტიკა. და რედი მილუოკის“ რეკორდსმენია - ერთ თამაშში 57 ქულა და კარიერულ 11 სეზონში რედმა

მილუოკის“ ბევრი მისცა. მართლა სოლიდური ბიჭი იყო. დაცვის გარეშე, მაგრამ მაინც სოლიდური. და მილუოკიც“ სოლიდური იყო. ზაზასთან ერთად და სანდერსის გარეშე. ბაქსმა“ მიიღო საჩუქარი ზაზასგან და კიდევ ერთი სუვენირი გარი ნილმა დატოვა. მსროლელი, რომელმაც სან ანტონიოსთან“ ერთად ლებრონს ვერ მოუგო და მსროლელი, რომელსაც გრეგ პოპოვიჩი ენდობოდა. ნილმა 30 პროდუქტიულ, ჩვეულებრივ და ნაპალმურ წუთში 23 ქულა აიღო და ნილი აკურატული იყო. გარიმ უშეცდომოდ ითამაშა და გარიმ 5/4 სამიანი ზუსტად შეასრულა. ათიანში გაუშვა. ნილი დისციპლინასთან კარგად არის და მილუოკიმ“ ეს კომპონენტი მიიღო. და ბევრი სხვაც. და მილუოკიმ“ მოიგო. ძალიან საინტერესო, პერსპექტიულ და სწრაფ კლივლენდთან“ მოიგო.

ზაზამ თამაშიდან ოთხჯერ ისროლა. 50%-იანი სიზუსტით ისროლა. და ფაჩულიაზე მთელი კლივლენდი იღებდა ფოლებს. ზაზაზე ლებრონის დედაც დაჯარიმდა. ზაზამ 10/10 free throw თავისუფლად გაუშვა და ყველა გამოიყენა. და პროცესში, კლივლენდიც“ გამოიყენა. ცენტრისგან ეს სტატისტიკა ჯეკპოტია. იდეაში, ეს სტატისტიკა ნებისმიერისგან ჯეკპოტია, მაგრამ განსაკუთრებით ცენტრისგან. სანდერსთან თუ სანდერსის გარეშე,

მილუოკი“ მეხუთე ნომერზე მშვიდად არის. იქ ზაზას ტერიტორია და ამბიცია ისვენებენ. ზაზასთან ერთად მილუოკიც“ ისვენებს. ფაჩულიამ 9 მოხსნა დაირტყა. 4 - სხვის ტერიტორიაზე. ფაჩულიამ 7 პასი გააკეთა. კაირი ირვინგის (29+8 პასი) შემდეგ, ყველაზე ბევრი. ირვინგი ფლეიმეიქერია, რომელიც ამ პასებს კონტრაქტით აკეთებს და ზაზა სხვა პოზიციაზე დგას. ზაზა კლივლენდთან“ ძალიან კარგი, თითქმის იდეალური იყო. ეს ბაქსი“ არ არის მრავალჯერადი გუნდი და ეს ბაქსი“ ბევრ ნიუანსში ბევრზე სუსტია. ზაზას სტატისტიკაც ყოველთვის იდენტურად ელეგანტური ვერ იქნება. უბრალოდ, ერთ კონკრეტულ თამაშში ფაჩულიამ დაფარა

კლივლენდი“ და ჩვენი ბიჭი საუკეთესო იყო. საუკეთესო ორივე გუნდში წუთებით (თითქმის 41) და ამ წუთებში ზაზამ ბევრი მოასწრო. და მილუოკი“ იგებს.

ბაქსის“ ორი ძირითადი პირველი ნომერი (ბრენდონ ნაითი და ლიუკ რიდნური) დალეწილია. ცუდი მომენტი, რომელიც მილუოკიმ“ ამ ერთი ტესტით არ შეიმჩნია. მილუოკიმ“ ვერ დატვირთა სანდერსი და ეს ძველი თემაა. მილუოკიმ“ ვერ ათამაშა კიდევ ერთი ტრავმირებული, ერსან ილიასოვა. ძნელია ოთხი ძირითადი ბიჭის გარეშე სირბილი, რესტლინგი და ძნელია მოგება. და გუნდმა მოიგო. უბრალოდ, ზაზამ, ნილმა და მემფისის“ ყოფილმა ყვავის ტუზმა, ოუ ჯეი მაიომ მაგრად მოინდომეს. მაიომ 7/6 სამიანით, აკურატული დაცვით და დაცვაში აგრესიით საქმე გააკეთა. და მილუოკი“ იგებს. ძალიან კარგ, მოძრავ, სწრაფ და მოქნილ კლივლენდთან“, რომელმაც მეხუთე ნომერზე ანდერსონ ვარეჯაო და ენდრიუ ბაინამი დატვირთა. და ბაქსმა“ მაინც მოიგო. განწყობა საჭირო კომპონენტია და მილუოკიც“ განწყობის გუნდია. ეს განწყობა გაფუჭდება, მერე ისევ გამოკეთდება და განწყობაში დადებითი ემოციების შეტანას ხელს შეუწყობს ზაზა ფაჩულიაც, რომელიც ძალიან კარგი, სანდო და ჩვენი იყო, არის და დარჩება. ზაზა მილუოკიში“ პროფესორია და თავისი კათედრიდან ბევრ საინტერესოს ამბობს.

ზაზა ფაჩულია რეალურად კარგ სტატისტიკას იღებს. რეალურად კარგ დროში და ზაზას პერსპექტივაც რეალურად კარგია. მილუოკიც“ სადღაც იგებს, სადღაც წააგებს, წამოვა ცუდი სერია და ზაზა ამ ფონზეც კარგი იქნება. ფაჩულიამ სოლიდურ დროში სოლიდური კალათბურთი ითამაშა და ეს სეზონი ზაზასთვის პატარა ზღაპარია. ეს სეზონი ზაზასთვის ბისია და საქართველოს ნაკრების ლიდერი სხვა დონეზე გადის. აღმოსავლეთის კონფერენციაში მილუოკი“ ჩვენი გუნდია.

ზაზა ჩვენი კაცია. კლივლენდთან“ პასებს ბილ უოლტონივით არიგებდა. და წამოიღო.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024205

შემსყიდველი	სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.11.2013 19:30
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 17:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	51000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79100000-იურიდიული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79110000-იურისტის კონსულტაცია და წარმომადგენლობითი მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	500 ლარი
გარანტიის ოდენობა	510 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024208

შემსყიდველი	სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.11.2013 20:41
წინადადებების მიღება იწყება	14.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	18.11.2013 16:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	84745 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45453000-კაპიტალური რემონტი (შეკეთება) და რეკონსტრუქცია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1000 ლარი
გარანტიის ოდენობა	847 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024207

შემსყიდველი	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.11.2013 20:19
წინადადებების მიღება იწყება	11.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	24300000-ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	24300000-ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	120 ლარი
გარანტიის ოდენობა	60 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024209

შემსყიდველი	სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი“
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.11.2013 21:40
წინადადებების მიღება იწყება	11.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	15000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	66500000-სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	66514110-ავტოტრანსპორტის დაზღვევა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	8 ავტომანქანა
მოწოდების ვადა	იხ. ტექნიკური დავალება
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	150 ლარი
გარანტიის ოდენობა	150 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

კალათბურთის ფედერაცია სპორტის სამინისტროს ჩარევას აპროტესტებს



საქართველოს
სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF SPORT AND
YOUTH AFFAIRS OF
GEORGIA

KA1001271823148

საქართველო, თბილისი, 0162 ჩოლოყაშვილის გამზ. N9; ტელ: 223 02 03; 223 50 06; ფაქსი: 229 20 49;
9 Cholokashvili Ave. 0162 Tbilisi, Georgia; www.msy.gov.ge / pr@msy.gov.ge

№08/2213 30 / ივლისი / 2013

ა(ა)იპ - „საქართველოს კალათბურთ
ეროვნული ფედერაციის“ პრეზიდენ
ბატონ ბესიკ ლიპარტელი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ წესდების სრულყოფ
დემოკრატიულ პრინციპებთან, საქართველოს კანონმდებლობის და ფიბას მოთხოვნებთან შესაბამისობ
მოყვანის მიზნით, საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროში გაიმართა (28.06.201
05.07.2013წ;) სამუშაო ჯგუფის (რომელშიც შედიოდნენ საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმ
სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი მოადგილე დავით ქვრივიშვილი და ა
დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ქეთევან გაჩეჩილაძე, ა(ა)ი.პ „საქართველოს კალათბურთის ეროვნულ
ფედერაციის“ წარმომადგენელი გოჩა სვანიძე და ა(ა)იპ „კალათბურთელთა კავშირის“ წევრები გიორგი ანთ
და დავით საყვარელიძე) სხდომები, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციაში“ გაწევრიანების
წესი და პირობები;
2. ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ გამგეობის და
უფლებამოსილებათა ფარგლები;
3. ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ წევრები.

ვინაიდან ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ მიერ წარმოდგენილი წესდ
პროექტი არ პასუხობდა ფიბა-ს „ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოს“ მოთხოვნებს (ფ
„ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოს“ მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები), მხარ
ზემოთჩამოთვილი პირველი ორ საკითხში ძირითადში შეაჯერეს საკუთარი პოზიციები რაც გამოი
შემდეგში:

1. ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ წევრად მიღება არ მოხდება გამტ
მიერ. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ფორმალურად ამოწმებს წევრობის მსურველის მიერ წარმოდგ
აპლიკაციას და შესაბამის დოკუმენტაციას წინასწარდადგენილ სტანდარტებთან და კრიტერიუმე
შესაბამისობაში, რის შესახებაც დადგენილი წესით ეცნობება ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნ

2. ა(ა)იპ „კალათბურთელთა კავშირის“ მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით:

1. ნამდვილი წევრები:

1.1. კალათბურთის კლუბი – კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს ა(ა)ი
საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ არა ასაკობრივ საქართველო
ეროვნულ პირველობებსა და სხვადასხვა თასის გათამაშებებში.

შეჯიბრებებში უნდა მონაწილეობდნენ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში;

თუ შეჯიბრებებში არ მონაწილეობენ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში, უწყდებათ წევრობა.

1.2. ბავშვთა ან მოზარდთა საკალათბურთო სკოლა - კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ყავ
არანაკლებ 100 რეგისტრირებული მოთამაშე და რომელიც მონაწილეობს ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთი
ეროვნული ფედერაციის“ ეგიდით ჩატარებულ სხვადასხვა სულ მცირე 3 ასაკობრივ შეჯიბრში, მინ
კალათბურთის გარდა.

2. ასოცირებული წევრები:

2.1. მწვრთნელთა ასოციაცია;

2.2. მოთამაშეთა ასოციაცია;

2.3. მსაჯთა ასოციაცია.

მსაჯთა, მწვრთნელთა, მოთამაშეთა ასოციაციები უნდა არსებობდეს მინიმუმ 2 წელი, რომ ჰქონდეთ
ხმის უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისარგებლებენ სათათბირო ხმის უფლებით.

ვინაიდან „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ეროვნული სპორტული ფედერაციის
სადამფუძნებლო დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობასა და შესაბამის
საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს, აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში საკალათბურთო გარემო
სტაბილურობის შესანარჩუნებლად, დემოკრატიული წესდების არსებობისთვის, კალათბურთი
ინტერესებიდან გამომდინარე და კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით
სამუშაო ჯგუფის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნულ
ფედერაციის“ წესდების ახალ რედაქციაში შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

ა) დღესარსებული რეალობის გათვალისწინებით, ეროვნული ფედერაციის წევრობის საბაზისო ერთეულად
აღებულ უნდა იქნენ კლუბები და არა რეგიონალური ფედერაციები, შესაბამისად კლუბებს უნდა გააჩნდეთ
წონადი სიტყვის დაფიქსირების შესაძლებლობა (ფიბა-ს „ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოს“ მე-
პუნქტი);

ბ) ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ როგორც ასოცირებული, ასევე ნამდვილ
წევრი უნდა იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირი და არა ფიზიკური პირი (ფიბა-ს „ეროვნული
ფედერაციების სახელმძღვანელოს“ მე-3 პუნქტი);

გ) ფედერაციის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის ბავშვთა და მოზარდთა სკოლები, რომლებიც
აკმაყოფილებენ ისეთ მაღალ კრიტერიუმებს, რითაც საკალათბურთო დონით, მნიშვნელობით და ხარისხით
გაუთანაბრდებიან უმაღლესი ლიგის კლუბებს (ფიბა-ს „ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოს“ მე-
პუნქტი);

დ) ა(ა)იპ „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ წევრად გახდომისთვის მხედველობაშ
მიიღება უკანასკნელი დამთავრებული სეზონის მაჩვენებლები (კლუბების/საკალათბურთო სკოლების ან/და
რეგისტრირებული მოთამაშეების რაოდენობა);

ე) უმაღლესი კლუბებს უნდა გააჩნდეთ პრემიალური ხმები (ფიბა-ს „ეროვნული ფედერაციები
სახელმძღვანელოს“ მე-4 პუნქტი);

ვ) უნდა არსებობდეს ფიბა-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით სამი ასოციაცია:

1. მსაჯთა ასოციაცია;

2. მწვრთნელთა ასოციაცია;

3. მოთამაშეთა ასოციაცია;

(ფიბა-ს „ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოს“ მე-3 და მე-4 პუნქტი);

შენიშვნა: ვინაიდან აღნიშნული ასოციაციები არ არიან შეყვანილნი საქართველოს კალათბურთის ეროვნული
ფედერაციის ბოლო 2012 წლის 25 დეკემბრის ყრილობის დელეგადტთა სიაში, ასეთ ორგანიზაციებს მათი
არსებობის შემთხვევაში გაეჩნდეთ მხოლოდ სათათბირო უფლება.

ზ) ქვეყანაში საკალათბურთო გარემოს სტაბილურობის შესანარჩუნებლად მიზანშეწონილი იქნება, რომ
ფედერაციის წევრებად (ხმის უფლებით) შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის იურიდიული პირები, რომლებიც
შედიოდნენ სკეგ-ის ბოლო 2012 წლის 25 დეკემბრის ყრილობის დელეგატთა სიაში და რომლებიც
აკმაყოფილებენ ზემოთჩამოთვლილ კრიტერიუმებს (ფიბას ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოს
პირველი პუნქტი).

ასევე გაცნობებთ, რომ რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ აგრეთვე ეცნობა ა(ა)იპ -
„კალათბურთელთა კავშირს“.

პატივისცემით,

მინისტრი ლევან ყიფიანი

პირველი გვერდიდან

„სარაგოსას„ გამარჯვება ევროთასზე

გიორგი შერმადინისა და ვიქტორ სანიკიძის „სარაგოსამ“ ევროთასის მატჩი მოიგო და ამაში ქართველების დამსახურება მნიშვნელოვანია. არაგონულმა გუნდმა იტალიურ „ვირტუსს“ უმასპინძლა და სანიკიძის ყოფილი კლუბი 74:68 დაამარცხა.

შერმადინმა სარაგოსელთაგან ყველაზე მეტი - 29:50 წუთი ითამაშა და თავისიანებს 15 ქულით, 3 მოხსნით, 1 პასით, 1 ჩაჭრით და 1 დაფარებით შეეწია. გიორგიმ 4 ბურთი დაკარგა. მან 6-დან 3 ორქულიანი გამოიყენა, ათი ცდიდან კი ცხრა საჯარიმო ჩააგდო.

სანიკიძე სათადარიგო იყო და მოედანზე მთლიანობაში 21:49 წუთი გაატარა. 5-დან 4 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 2-დან1 საჯარიმო ჩააგდო. ქართველმა ფორვარდმა 12 ქულასთან ერთად 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 პასიც მიითვალა. ბურთი კი არ დაუკარგავს.

სარაგოსელთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა ამერიკელმა ჯოზეფ ჯონსმა, რომელმაც 24 წუთში 17 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. ჯონსის შემდეგ მარგი ქმედები კოეფიციენტით არაგონულ კლუბში სწორედ ქართველები მოდიან.

მომდევნო საევროთასო მატჩს სარაგოსელები საფრანგეთის ქალაქ დიუნკერკში, „გრაველინთან“ გამართავენ.

ბორჯღალოსნები კანადასთან ტესტს ამზადებენ

გიგა გურასაშვილი

რაგბის სამყაროში ნოემბრის ტესტების დრო და ნაკრებები კონტინენტიდან კონტინენტზე თავის სწორებს ებურთავებიან. ტესტების დრო უდგას საქართველოს მორაგბეთა ნაკრებსაც. ჩვენი გუნდი დიდ ტესტს ხვალ კანადასთან იწყებს. მატჩი თბილისში, ავჭალის სტადიონზე ჩატარდება. დღეს ნაშუადღევს კი კაპიტნის ვარჯიში აქვთ ხვალინდელი დაპირისპირებისთვის სარაგბოდ გარდაქმნილ „დინამო არენაზე“.

„ნეკერჩხლის ფოთლებმა“ ბორჯღალოსნებთან შერკინებამდე შინ, ტორონტოში, ახალი ზელანდიის მაორების ნაკრებთან ითამაშეს, მაგრამ სამხრეთელებთან ვერას გახდნენ - 15:40 დამარცხდნენ. მაორებთან დაპირისპირება კანადელებისთვის მნიშვნელოვანი იყო და, საერთოდ, ჩრდილოამერიკული რაგბის ისტორიაში იმითაც შევიდა, რომ მას სარეკორდოდ ბევრი - 22,566 მაყურებელი დაესწრო.

მაორებთან წაგებამ „ნეკერჩხლის ფოთლები“ გაანაწყენა - უკეთესად თამაშიც შეგვეძლო, მაგრამ რამდენიმე მორაგბე გვაკლდაო. საქმე ის არის, რომ სამხრეთელებთან თამაშის დღე რაგბის საერთაშორისო საბჭოს ტესტ-მატჩების კალენდარში არ ჯდებოდა, რის გამოც რამდენიმე მორაგბემ ვერ შეძლო თანაგუნდელების მხარდამხარ ბურთაობა. კანადელები არც დღეს არიან მათთვის სასურველი ბირთვით ჩამოსულები. ჩრდილოელებისთვის ერთი დიდი დანაკლის ის იქნება, რომ „დინამო არენაზე“ გუნდს ტრავმირებული კაპიტანი აარონ კარპენტერი ვერ გაუძღვება. «ნეკერჩხლის ფოთლებს» სხვებიც ჰყავთ დაშავებული, ზოგიც შვიდკაცა ნაკრებშია გამოძახებული. ასე რომ, მეტ-ნაკლებად გაახალგაზრდავებული გუნდით თამაშს გვპირდებიან.

საქართველოს ნაკრებს ჩრდილოამერიკელებთან შარშანდელი წაგებისთვის ხურდა აქვს დასაბრუნებელი და ამისთვის „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ემზადება, დღეს საღამოს კი „დინამო არენაზე“ კაპიტნის ვარჯიშია.

«ნეკერჩხლის ფოთლები“ ჩვენთან მატჩის შემდეგ ბუქარეტს მიაშურებენ და 16 ნოემბერს „მუხის ფოთლებს“ შეხვდებიან, 23 ნოემბერს კი პორტუგალიაში, იქაურ ნაკრებთან დაასრულებენ ნოემბრის ტესტ-მატჩებს.

თბილისში გამომგზავრებამდე კანადელთა მორკინალი ადამ კლებერგერი, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ თამაშის გამოცდილება აქვს, თანაგუნდელებს აფრთხილებდა, საქართველო ძლიერი გუნდია და ურთულესი თამაში გველისო.

კანადელთა მეორეხაზელი ჯონ ფელანი კი ამბობს, მაორებთან დაშვებული შეცდომები თბილისში არ უნდა გავიმეოროთ და უკეთ უნდა ვითამაშოთო: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრები რეიტინგში ჩვენ ქვემოთაა, გამარჯვებისთვის აუცილებელია კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში ყოფნა. მეტოქეს შერკინებაში არაფერი არ უნდა დავუთმოთ და მაორთან დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ“.

ფელანი თანაგუნდელებს იმასაც ეუბნება, რომ საქართველოს ნაკრები ერის სიამაყეა და საკუთარ კედლებში უფრო დიდ ძალას წარმოადგენსო.

ჩრდილოამერიკელებმა საქართველოში ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე დაიჭირეს თადარიგი. ნაკრების მედპერსონალმა საგანგებო გრაფიკი შეიმუშავა. შეცვალეს ყოველდღიური რეჟიმი - დაძინებისა თუ გაღვიძების დრო, რათა თბილისში მყოფთ აკლიმატიზაციის გამო პრობლემები არ შეჰქმნოდათ.

ერთი სიტყვით, ევროპაში დიდი მიმოსვლაა. აქედან სამი ნაკრები ბორჯღალოსნებს სტუმრობს - ჯერ კანადა, ერთი კვირის თავზე რუსთავში აშშ-ის ნაკრებს დავუხვდებით, შემდეგ კი ხელდახელ მოთამაშე სამოას თბილისში, მიხეილ მესხზე ვეთამაშებით.

ნოემბრის ტესტ-მატჩების სერიის პირველ შეხვედრამდე საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, მილტონ ჰეიგმა ბორჯღალოსნების სასტარტო შემადგენლობა დაასახელა. ნაკრების შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა - სამშაბათის ვარჯიშზე დიმიტრი ბასილაიამ ხელის ტრავმა მიიღო, რომლის გამო იგი ორი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს ვარჯიშს.

შემადგენლობა:

1. მიხეილ ნარიაშვილი 2. შალვა მამუკაშვილი 3. დავით ქუბრიაშვილი 4. კონსტანტინე მიქაუტაძე 5. ლევან დათუნაშვილი 6. ვიქტორ კოლელიშვილი 7. მამუკა გორგოძე 8. გიორგი ჩხაიძე 9. გიორგი ბეგაძე 10. ლაშა ხმალაძე 11. თამაზ მჭედლიძე 12. მერაბ შარიქაძე 13. დავით კაჭარავა 14. ირაკლი მაჩხანელი (კაპ) 15. მერაბ კვირიკაშვილი

მარქაფა:

16. სიმონ მაისურაძე 17. დავით ხინჩიგაშვილი 18. ლევან ჩილაჩავა 19. შალვა სუთიაშვილი 20. გიორგი თხილაიშვილი 21. ვაჟა ხუციშვილი 22. თეიმურაზ ზიბზიბაძე 23. ბექა წიკლაური

კანადის ნაკრები ნოემბრის ტესტ-მატჩებზე: ტეილორ არდრონი („ოსპრეიზი“, უელსი), რეი ბარკვილი („ნიაგარა“), ბრეტ ბეუკებუმი („პლიმუთი“, ინგლისი), ნიკ ბლევინსი („კალგარი“), ჰუბერტ ბაუდენსი („მანავატუ“, ახალი ზელანდია), ნანიაკ დალა („პრაირიე ვოლფი“), მეტ ევანსი („კორნიშ პირატესი“, ინგლისი), ჯეფ ჰასლერი („ოსპრეიზი“, უელსი), კიარან ჰერნი („კასტავეი ვანდერერსი“), ტაილერ ჰოტსონი („ლონდონ სკოტიში“, ინგლისი), ჯეკ ილნიცკი („უილიამს ლაკე რუსტლერსი“), ჰარი ჯონსი („კაპილანო“), ადამ კლებერგერი („კასტავეი“), ფილ მაკი („ვიკესი“), ჯეიმი მაკკენზი („ვიკესი“), ფილ მაკკენზი („სეილი“, ინგლისი), რაიან მარში („აბოტსფორდი“), ჯონ მონლაიტი („ჯამეს ბაი“), ჯონ ფელანი („ლილი“, საფრანგეთი), ბენუა პიფერო („ბარნდეი ლაკე“), ჯეიმს პრიტჩარდი („ბედფორდი“, ინგლისი), ჯასტიკ სეარს-დურუ („კასტავეი“), ჯებ სინკლერი („ლონდონ აირიში“, ინგლისი), ენდრიუ ტიდემანი („კასტავეი“), ლონორ ტრაინორი („რავენსი“), ლიამ უნდერვუდი („ქუინსი“).

...2013 წელს კანადის ნაკრებმა რვა მატჩი ჩაატარა, აქედან ხუთში გაიმარჯვა, სამში კი დამარცხდა. მათ შორის, ბოლოს ახლახან, ახალი ზელანდიის მაორების ნაკრებთან.

25 მაისი (წყნარი ოკეანის თასი) კანადა-აშშ - 16:9
5 ივნისი (წყნარი ოკეანის თასი) კანადა-ფიჯი - 20:18
8 ივნისი (წყნარი ოკეანის თასი) კანადა-ტონგა - 36:27
15 ივნისი (ტესტ-მატჩი) კანადა-ირლანდია - 14:40
19 ივნისი (წყნარი ოკეანის თასი) იაპონია-კანადა - 13:16
17 აგვისტო (საკვალიფიკაციო) აშშ-კანადა - 27:9
25 აგვისტო (საკვალიფიკაციო) კანადა-აშშ - 13:11
3 ნოემბერი (ტესტ-მატჩი) კანადა-მაორები - 15:40